პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 1918-ე წელი | № 186 (10883) | ხუთშაბათი, 8 აგვისტო, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

საყოველთაო-სახალხო ღღესასწაულს — ღირსეული შეხვედრა

ახლოვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წლისთავი, რევოლუციისა, რომლითაც კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა — კაპიტალიზმის დამხობისა და ახალი, სოციალისტური საზოგადოების დამკვიდრების ერა.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ენერგიულად ემზადებიან საყოველთაო-სახალხო ღღესასწაულისათვის ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები. დიდი ზეიმისათვის მოსამზადებელი მუშაობა რესპუბლიკაში მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, მეექვსე ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლის ნიშნით.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივები ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც ფართოდ გაჩაღდა ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის თაოსნობით. საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებმა — რუსთავის მეტალურგებმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს ფოლადის გამოდნობის ნახევარი წლის დავალება. ზეგეგმითს პროდუქციას უშვებენ ტყიბულელი მეშახტეები და კვაისელი მაღაროელები, თბილისელი ჩარხმშენებლები და ქუთაისელი ავტომობილმშენებლები, რესპუბლიკის მთელ რიგ სხვა საწარმოთა კოლექტივები.

დიდი ღღესასწაულისათვის მზადების ღღეებს ახალი შრომითი საქმეებით აღნიშნავენ რესპუბლიკის კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები. აქტიურად გამოეხმაურა რა წითელწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელთა წამოწყებას, საქართველოს კოლმეურნე გლეხობა ფართოდ აჩაღებს ბრძოლას მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრად გადიდებისათვის. სოფლის მეურნეობის მშრომელებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ჩვენი პარტიის მიერ დასახული ამოცანის — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ — განხორციელებისათვის ბრძოლაში. სოფლის მეურნეობის მშრომელთა მიერ გაჩაღებული შეჯიბრების პირველი შედეგები უკვე იმას მეტყველებენ, რომ ნაკისრი ვალდებულებანი წარმატებით იქნება განაღდებული.

წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში სასახელო წარმატებებს აღწევენ აგრეთვე რესპუბლიკის მეჩაიეები, მევენახეები, მეციტრუსეები, მეთამბაქოეები, მებაღეები.

სახელოვანი იუბილესათვის მზადებაში აქტიურად ებმებიან რესპუბლიკის შემოქმედებითი ორგანიზაციები და კულტურის დაწესებულებები. გამომცემლობები უშვებენ დიდი ოქტომბრის რევოლუციისადმი მიძღვნილ ახალ წიგნებსა და ბროშურებს. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ ამას წინათ გამოსცა „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევების“ პირველი ნაწილი, რომელშიც გადმოცემულია საქართველოს კომპარტიის გმირული ისტორია მარქსიზმის გავრცელებისათვის ბრძოლის დასაწყისიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. რესპუბლიკის მეცნიერთა ძალებით მომზადებულია და გამოცემული იქნება 70-მდე სახელწოდების წიგნი და ბროშურა.

პარტიისადმი, დიდი ოქტომბრისადმი, კომუნიზმისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლისადმი მიძღვნილ ახალ ნაწარმოებებზე მუშაობენ საქართველოს მწერლები. ქართველი მხატვრები ენერგიულად ემზადებიან დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო გამოფენისათვის. ახალი ოპერების, ბალეტების, სიმფონიური და კამერული ნაწარმოებების შექმნაზე შემოქმედებითად შრომობენ ჩვენი კომპოზიტორები. კულტურის სახლები, კლუბები, ბიბლიოთეკები აწყობენ ლექციებს, გამოფენებს, რომლებიც მოგვითხრობენ საბჭოთა ხელისუფლების დიად მონაპოვართა შესახებ.

მზადება დიდი ოქტომბრის სახელოვანი წლისთავის ღღესასწაულისათვის ღღითიდღე ფართოვდება. პარტიული ორგანიზაციების ვალია ყოველმხრივ გააძლიერონ მუშაობა იდეოლოგიური ფრონტის ყველა უბანზე, აამაღლონ აგიტაციისა და პროპაგანდის ღონე, წარმართონ იგი მრეწველობის წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებისაკენ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისაკენ.

საგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობაში საჭიროა გაშუქებულ იქნას ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და განხორციელების პერიოდის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენები, ფართოდ პოპულარიზებულ იქნას კომუნისტური პარტიისა და მისი ბელადის ვ. ი. ლენინის დიდი მაორგანიზებელი და გარდამქმნელი როლი, განმარტებულ იქნას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა, სოციალიზმისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლაში სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მიღწევები. პარტიული ორგანიზაციები დაუღალავად უნდა განუმარტავდნენ კომუნისტებს, ყველა მშრომელს საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომელმაც ამხილა მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის და მათთან მიმხრობილი შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფი, მკაფიოდ და დამაჯერებლად უჩვენებდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიად გამარჯვებებს, რომელთა მნიშვნელობის შემცირებას ცდილობდა მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფი.

ოქტომბრის წლისთავის ღღესასწაულისათვის მზადებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ რადიომ და გაზეთებმა, რომლებიც მოწოდებული არიან ფართო პროპაგანდა გაუწიონ 40 წლის მანძილზე ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს მიერ მოპოვებულ დიდ მიღწევებს, ადგილობრივი ცხოვრებიდან აღებული კონკრეტული, მკაფიო მაგალითებით უჩვენონ საბჭოთა ეკონომიკისა და კულტურის განუხრელი ზრდა.

უფრო ფართოდ უნდა მოეწყოს კომუნისტური პარტიის ძველ წევრებთან, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციისა და სამოქალაქო ომის აქტიურ მონაწილეებთან მშრომელთა შეხვედრები. ასეთ შეხვედრებს ექსკურსანტებთან ამჟამად აწყობს ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი. ძველ ბოლშევიკებთან შეხვედრები მოეწყო ზუგდიდის, ჩხოროწყუს, ჩოხატაურის, მახარაძის და მთელ რიგ სხვა რაიონებში.

დიდი მუშაობა მოელით კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. კულტურის სახლებმა, კლუბებმა, სამკითხველოებმა, ბიბლიოთეკებმა უნდა მოაწყონ გამოფენები, გამოფენონ მონტაჟები, დიაგრამები, რომლებშიც თვალნათლივ იქნება ნაჩვენები ჩვენს ქვეყანაში 40 წლის მანძილზე მომხდარი დიადი გარდაქმნანი. უფრო ხშირად უნდა იმართებოდეს ოქტომბრის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი თემატური საღამოები, მხატვრული თვითმოქმედების კარგად მოფიქრებული, შინაარსიანი კონცერტები.

დიდი ოქტომბრის ღღესასწაულამდე ცოტა დრო დარჩა. რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, და კომკავშირული ორგანიზაციების ვალია უფრო გააძლიერონ მზადება ამ ისტორიული თარიღისათვის, კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღონ წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება, რათა 7 ნოემბერს ახალი შრომითი წარმატებებით შევხვდეთ.

ოქტომბრის მე-40 წლისთავისათვის მზადება დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ღონისძიებაა. დიადი თარიღისათვის მზადების პერიოდში გაჩაღებული საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა ხელს შეუწყობს საბჭოთა ადამიანების კომუნისტური შეგნებულობის შემდგომ ზრდას და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მათს დაჯგუფებას, კიდევ უფრო აამაღლებს მშრომელთა მასების შემოქმედებითს ინიციატივასა და აქტივობას კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

ბროშურად გამოიცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება გ. მ. მალენკოვის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ვ. მ. მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე ბროშურად გამოსცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება გ. მ. მალენკოვის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ვ. მ. მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ.

ბროშურა გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. (საქდესი).

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაემგზავრა

7 აგვისტოს დილით მოსკოვიდან ბერლინში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მეგობრული ვიზიტით წავიდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით.

დელეგაციაში შედიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ი. მიქოიანი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე პ. ნ. კუმიკინი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის მდივანი ი. ვ. სპირიდონოვი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. გრიშინი, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ზ. ვ. მირონოვა, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ე. სემიჩასტნი. დელეგაციის წევრია აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გ. მ. პუშკინი.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის გასაცილებლად ვნუკოვოს აეროდრომზე შეიკრიბა მოსკოვის მშრომელთა ასობით წარმომადგენელი. აქ იყო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის მონაწილე გერმანელ ქალიშვილთა და ჭაბუკთა ჯგუფი. აეროპორტი მორთული იყო საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით.

აქ მოვიდნენ ამხანაგები ნ. ი. ბელიაევი, ნ. ა. ბულგანინი, გ. კ. ჟუკოვი, ფ. რ. კოზლოვი, ო. ვ. კუუსინენი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, პ. ნ. პოსპელოვი, ა. ნ. კოსიგინი, მ. გ. პერვუხინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მინისტრები, ცენტრალურ უწყებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მთელი რიგი სამინისტროების პასუხისმგებელი თანამშრომლები.

გამცილებელთა შორის იყვნენ სსრ კავშირში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს პერსონალი, სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, აგრეთვე საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

აეროდრომზე მყოფნი გულითადად გამოეთხოვნენ ნ. ს. ხრუშჩოვს, ა. ი. მიქოიანს და საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სხვა წევრებს. 9 საათსა და 50 წუთზე თვითმფრინავმა „ტუ-104“ დასავლეთისაკენ აიღო კურსი.

დელეგაციასთან ერთად ბერლინში გაფრინდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში იოჰანეს კენიგი. (საკდესი).

დარბაზობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში იტალიის კომუნისტური პარტიის დელეგაციის სსრ კავშირში ყოფნის გამო

6 აგვისტოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დარბაზობა გამართა საბჭოთა კავშირში მყოფი იტალიის კომპარტიის დელეგაციის პატივსაცემად.

დარბაზობას დაესწრნენ დელეგაციის მეთაური — იტალიის კომპარტიის გენერალური მდივნის მოადგილე ამხ. ლუიჯი ლონგო, იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობის წევრები ამხანაგები მარიო ალიკატა და ემილიო სერენი, იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები ამხანაგები ოტელო ნანუცი, ვიტო დ'ამიკო, ნივეს ჯესი, ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრი ამხ. ლუიჯი ამადეზი, ამხანაგები ნაპოლეონე კოლოიანი, ლუკა პავოლინი, ჯუზეპე საკი, ელიჯო ბიაჯონი, ლუიჯი ჩიოფი დელიი ატი, ჯორდო პასტორე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან დარბაზობას დაესწრნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ი. მიქოიანი, მ. ა. სუსლოვი, ო. ვ. კუუსინენი, ე. ა. ფურცევა, ფ. რ. კოზლოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ამხ. ბ. ნ. პონომარიოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების პასუხისმგებელი მუშაკები ამხანაგები დ. პ. შევლიაგინი და ს. მ. პავლოვა.

დარბაზობამ და ორი პარტიის წარმომადგენელთა ამხანაგურმა საუბარმა ჩაიარა უშუალობის, გულითადობისა და ძმური კომუნისტური თანამეგობრობის ვითარებაში. (საკდესი).

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ბერლინს დაუბრუნდა

ბერლინი, 7 აგვისტო. (საკდესი). დღეს შუადღეზე საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ბერლინში.

11 საათსა და 55 წუთზე ადგილობრივი დროით სპეციალური მატარებელი, რომლითაც ჩამოვიდნენ საბჭოთა სტუმრები, შაბრეგის ... ბაგზლის ბაქანთან. საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებს გულითადად შეხვდნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელები, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა დემოკრატიული პარტიებისა და მასობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელი მოღვაწენი.

ბერლინის მოსახლეობის დიდი მასები, რომლებითაც ვაგზლის მოედანი გაიჭედა, საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებს შეხვდნენ მჭეხარე ოვაციითა და მისასალმებელი შეძახილებით საბჭოთა კავშირისა და გერმანია-საბჭოთა კავშირის ურღვევი ძმური მეგობრობის პატივსაცემად.

ვაგზლის მოედანზე გაიმართა მიტინგი, რომელზეც სიტყვები წარმოთქვეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ულბრიხტმა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

ხელი მოაწერეს „კომუნიკეს სირიის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის საბჭოთა კავშირში ყოფნის შესახებ“

6 აგვისტოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახლში ალექსი ტოლსტოის ქუჩაზე ხელი მოაწერეს „კომუნიკეს სირიის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის საბჭოთა კავშირში ყოფნის შესახებ“.

კომუნიკეს ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ი. ი. კუზმინმა და სირიის რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრმა და ეროვნული თავდაცვის მინისტრმა ჰალედ აზემმა.

კომუნიკეს ხელმოწერას დაესწრნენ სირიის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრები: საზოგადოებრივ სამუშაოთა და კომუნიკაციების მინისტრი ფაპერ კაიალი, გენერალური შტაბის უფროსი გენერალი თევფიკ ნიზამედინი და სხვები.

საბჭოთა კავშირის მხრივ ხელმოწერას დაესწრნენ ნ. ა. ბულგანინი, გ. კ. ჟუკოვი, მ. გ. პერვუხინი, სსრ კავშირის მინისტრები ნ. ა. მიხაილოვი, ა. გ. ზვერევი და სხვები. (საკდესი).

ჩაის ფოთლის დამზადება

(„საქართველოს ჩაის“ ტრესტის 1957 წლის 6 აგვისტოს ცნობებით)

რაიონები	გეგმის შესრულება წლიურისა	%-ობით აგვისტოსი	რაიკომების მდივნები, რაიაღმასკომების თავმჯდომარეები
ბათუმის	78,8	9,9	ხ. ესაძე, ა. ანანიძე
ქობულეთის	66,5	9,0	ა. გოგიტიძე, ლ. წულუკიძე
ქედის	70,3	13,0	ვ. კოკკაძე, ვ. ნაკაშიძე
სულ აჭარაში	68,3	9,2	
გალის	61,0	3,7	დ. გოგობია, ბ. ტუფურია
ოჩამჩირის	68,9	5,5	ჩ. აბგაჯი, ტ. ხოსელია
გულრიფშის	77,7	2,8	ლ. ელეჭრიანი, შ. ბოკერია
სოხუმის	75,4	3,3	გ. ჭაჭია, პ. ცანავა
გუდაუთის	61,3	2,6	დ. ხვარცკია, კ. გერია
სულ აფხაზეთში	64,4	4,1	
მახარაძის	64,2	8,8	შ. ჭანუყვაძე, დ. ხაბაშვილი
ჩოხატაურის	67,3	7,0	ა. გობრონიძე, გ. მამალაძე
ლანჩხუთის	66,4	10,5	დ. მანწკავა, მ. ვადაჭკორია
სამტრედიის	61,0	4,0	ნ. ფანეულაია, მ. ახათიანი
წულუკიძის	48,6	2,0	ს. ლეფავა, მ. აბზიანიძე
ქუთაისის	58,8	3,0	მ. ბიბილაშვილი, ლ. ტაბიძე
წყალტუბოს	72,0	2,3	ვ. ურუშაძე, გ. გაგოშიძე
ტყიბულის	69,3	4,8	კ. ლომაძე, ი. გოორგობიანი
ცხაკაიას	50,8	3,5	ი. ურუშაძე, დ. ბალათურია
აბაშის	46,6	1,7	მ. ბოკერია, ა. ჯღარკავა
გეგეჭკორის	60,7	5,8	კ. ხუბულავა, გ. შეროზია
ზუგდიდის	59,0	5,5	მ. ღვინჯილია, ვ. ეხართია
წალენჯიხის	70,1	6,4	ვ. კვარაცხელია, ი. ზარანდია
ჩხოროწყუს	64,3	2,8	მ. ცანავა, შ. ხუნტუა
ხობის	65,9	9,0	ა. წურწუმია, ხ. ნახარაია
თერჯოლის	73,9	2,8	პ. სახეჩიძე, ი. შუღლაძე
ზესტაფონის	57,3	0,9	შ. ხიდაშელი, გ. არევაძე
ჭიათურის	88,3	—	პ. აბესაძე, გ. ლომაძე
ვანის	103,0	—	გ. ლილუაშვილი, ა. ლომინაძე
სულ საქ. სსრ-ში	64,2	6,6	

ბათუმის რაიონის ცნობები არასრულია.

უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ

მ ი მ ა ა რ თ ვ ა

საგარეჯოს რაიონის მუხროვანის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივისა

საქართველოს სსრ მერძეველობის საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო! საბჭოთა ხალხი ემზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელები ახალ ვალდებულებებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მძლავრი აღმავლობისათვის, საქმით ახორციელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

მშობლიურმა საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ სოციალისტური სოფლის მეურნეობის მუშაკების წინაშე დასახა საბრძოლო ამოცანა: უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. ამ ამოცანის განხორციელებისათვის ბრძოლაში ჩაებნენ საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები, მტს-ები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. ისინი კისრულობენ ვალდებულებას წელსვე მიაღწიონ ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მკვეთრად გადიდებას.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებას საქართველოს მშრომელები, ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ. ისინი კიდევ უფრო მტკიცედ დაირაზმნენ მშობლიური პარტიის გარშემო და სიტყვა მისცეს პარტიას, რომ თავდადებით იბრძოლებენ პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული ღონისძიებების განხორციელებისათვის.

ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების გადიდების საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ საქართველოს მერძეველობის საბჭოთა მეურნეობებმა. მათ დიდი რეზერვები და შესაძლებლობანი აქვთ. ამაში დავრწმუნდით ჩვენი, მუხროვანის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის მაგალითით.

უკანასკნელ წლებში მეურნეობის მუშაკებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს სამგორის ველზე ახლად მოწყობილი მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის მშენებლობისა და მაღალპროდუქტიული პირუტყვით მისი უზრუნველყოფის საქმეში.

1956 წელს მეურნეობამ ერთ საფურაქე ძროხაზე 2.600 კილოგრამი რძე მიიღო ნაცვლად 1.400 კილოგრამისა. 1954 წელს გაფართოვდა მეურნეობის საკვები ბაზა ისეთი ძვირფასი საკვები კულტურის ხარჯზე, როგორიც არის სიმინდი, ამასთან, საგრძნობლად გადიდდა მრავალწლიანი ბალახებისა და ძირნაყოფების ნათესი ფართობები. წელს დაითესა 204 ჰექტარი სიმინდი. ამ ნათესი ფართობიდან 118 ჰექტარი ჰიბრიდული თესლით დაითესა.

მიმდინარე წლის პირველი ნახევარი მეურნეობამ წარმატებით დაამთავრა. ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე 6 თვეში მეურნეობამ მიიღო 318 ცენტნერი რძე, 11 ცენტნერი ხორცი. ერთ საფურაქე ძროხაზე მიღებული რძის რაოდენობამ საგრძნობლად გადააჭარბა გასული წლის მაჩვენებლებს. მიმდინარე წლის 6 თვეში თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 1.380 კილოგრამი რძე ნაცვლად გასული წლის ამავე პერიოდში მიღებული 1.160 კილოგრამისა. მუხროვანის მეურნეობის მუშაკები, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელები, დიდი მოწონებით შეხვდნენ კომუნისტური პარტიის მიერ დასახულ ამოცანას — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ.

მეურნეობის კოლექტივმა, გამოიანგარიშა რა თავისი შესაძლებლობანი და არსებული რეზერვები, გადაწყვიტა დამატებით იკისროს ვალდებულებანი და თავისი წვლილი შეიტანოს პარტიის მიერ დასახული დიდი ისტორიული მნიშვნელობის ამოცანის წარმატებით განხორციელებაში.

მეურნეობის კოლექტივი კისრულობს: მიმდინარე წელს ერთ საფურაქე ძროხაზე მიიღოს 2.900 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.615 კილოგრამისა, გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბაროს 700 ცენტნერი რძე და 50 ცენტნერი ხორცი, მიიღოს ერთ კვერცხმდებელ ქათამზე — 150 კვერცხი, გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბაროს 50 ათასი კვერცხი და სამი ტონა ფრინველის ხორცი.

მიმდინარე წელს მეურნეობა ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიიღებს 40 ცენტნერ ხორცს, 700 ცენტნერ რძეს, მათ შორის ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე 21 ცენტნერ ღორის ხორცს და ყოველ ას ჰექტარ მარცვლეულის ნათესზე 33 ათას ცალ კვერცხს. ამ ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საჭიროა ერთ ძროხაზე დავამზადოთ 11 ტონა სილოსი. 1960 წლისათვის ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე მივიღებთ 100 ცენტნერ ხორცს, 1.000 ცენტნერ რძეს, 200 ათას კვერცხს, თვითეულ საფურაქე ძროხაზე — 3.500 კილოგრამ რძეს, ერთ ძროხაზე დავამზადებთ 15 ტონა სილოსს.

იმ მიზნით, რომ გაიზარდოს ხორცის რესურსები, ფართოდ განვავითარებთ მეღორეობას და მეფრინველეობას, განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ იხვისა და ბატის მოშენებას.

მეურნეობის კოლექტივი ვალდებულებას კისრულობს ფართო საწარმოო დახმარება გაუწიოს საგარეჯოს რაიონის ხაშმის, უჯარმის და ახალსოფლის კოლმეურნეობებს. წელსვე მეურნეობა გამოუყოფს კოლმეურნეობებს 150 ჯიშიან მოზარდს, ხოლო 1958 წელს 10 ათას ფრთა მოზარდ ფრინველს და სისტემატურად აღმოუჩენს დახმარებას მეცხოველეობის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისა და პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში.

ვკისრულობთ რა ამ ვალდებულებებს, პირობას ვაძლევთ პარტიასა და მთავრობას, რომ მთელ ძალებს დავრაზმავთ მათი სასახელოდ შესრულებისათვის.

ჩვენ, მუხროვანის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის მუშაკები, მოვუწოდებთ საქართველოს სსრ მერძეველობის საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებს იკისრონ ახალი გადიდებული ვალდებულებები და უფრო ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მათი პირნათლად შესრულებისათვის.

მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი ხორცი, რძე, კარაქი და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები, ახალი საწარმოო წარმატებებით შევხვდეთ დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს! ეს იქნება ჩვენი წვლილი პარტიის მიერ დასახული დიადი ამოცანის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

მუხროვანის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის დავალებით: **დ. მეტრეველი** — მუხროვანის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი; **შ. ლეფავა** — პარტორგანიზაციის მდივანი; **ფ. ქველაძე** — მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე; **ქ. მეტრეველი** — კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი; **შ. გოგოძე** — მთავარი ზოოტექნიკოსი; **ო. დენისოვი** — მთავარი აგრონომი; **ბ. ჯოხაძე** — მთავარი მექანიზატორი; **შ. ციქურიშვილი** — მთავარი ვეტექიმი; **ა. ლიახოვი** — მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმის გამგე; **ე. მაისურაძე** — მეფრინველეობა-მეფუტკრეობის ფერმის გამგე; **ი. ლიტვინოვა** — № 1 ბრიგადის ბრიგადირი; **ნ. კევლიშვილი, მ. ნესტერენკო, მ. ბაბენკო, მ. ჩეკურიშვილი, ნ. კარამაევა** — მწველავები; **მ. ბალუკი** — ტრაქტორისტი; **ი. ეროფეევი** — კომბაინერი.

პროფკავშირულ თემაზე

მასებს მოწყვეტილი საქარხნო კომიტეტი

კასპის ცემენტის ქარხნის კოლექტივმა მიმდინარე წლის ექვსი თვეში საყოფილო პროდუქციის გამოშვების დაგეგმილება 107,5 პროცენტით შეასრულა, 4,3 პროცენტით შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება, დაზოგა ქვანახშირი, ელექტროენერგია და სხვა მასალები.

მაგრამ ამასთან ქარხნის კოლექტივის მუშაობაში მრავალი ნაკლიც არის. შიფერის საამქროში ნახევარი წლის საწარმოო გეგმა მხოლოდ 93,5 პროცენტით არის შესრულებული, დაფქვისა და შიფერის საამქროებში დაბალია აგრეგატების და დანადგარების წარმადობა, ქარხნის ყველა საამქრო ვერ აღწევს შრომის ნაყოფიერების ზრდას.

საამწუხაროდ საქარხნო კომიტეტი ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, პროფკავშირული მასების აქტივობის გასაძლიერებლად სუსტად იბრძვის.

„ვის აქვს ქარხნის გარდამავალი წითელი დროშა“?

ასეთი იყო ერთ-ერთი შეკითხვა, რომელიც მომხსენებელსა და თანამომხსენებელს მისცეს კასპის ცემენტის ქარხანაში ამას წინათ შემდგარ საქარხნო პროფკავშირულ კონფერენციაზე, რომელიც მოწვეული იყო კოლექტიური ხელშეკრულების შესრულების შედეგების განსახილველად.

— თებერვლის მუშაობის შედეგების მიხედვით გარდამავალი წითელი დროშა მიკუთვნებული აქვს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას! — გაისმის კრებაზე საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის დროებითი შემსრულებლის და ამავე დროს თანამომხსენებლის ნ. ბარბაქაძის პასუხი.

ხმები დარბაზიდან: — თებერვლიდან მოყოლებული სულ ინარჩუნებენ ისინი წითელ დროშას?

პასუხი: — სამწუხაროდ, უნდა ვთქვათ, რომ თებერვლის შემდეგ აღარ მოგვიხდენია შეჯიბრების შედეგების შეჯამება, გარდამავალი წითელი დროშის ღირსი კანდიდატის შერჩევა!

მარტო ეს ფაქტი, რომ უკანასკნელი ოთხი თვის განმავლობაში არ მოუხდენიათ მოწინავე საამქროებისათვის დაწესებული გარდამავალი წითელი დროშის გადაცემა, მოწმობს სოციალისტური შეჯიბრებისადმი საქარხნო კომიტეტის გულგრილ, ფორმალისტურ დამოკიდებულებას. საქარხნო კომიტეტში ვერ ნახავთ მასალებს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საამქროების, ცვლების, ბრიგადების, კომპლექტებისა და ცალკეული ადამიანების შესახებ. ეს საქმე მთლიანად მინდობილი აქვთ საამქროთა პროფორგანიზატორებს, რომლებსაც არავინ დახმარებას არ უწევს.

დიდი მნიშვნელობა აქვს შეჯიბრების შედეგების ყოველდღიურ აღრიცხვას და შეჯამებას, საჯაროობას. აქ არც აღრიცხვაა მოწესრიგებული და არც საჯაროობა.

დავიწყებული საქმე

შრომის ნაყოფიერების ზრდაში ქარხნის კოლექტივს დიდად დაეხმარება კარგად დაყენებული ტექნიკური პროპაგანდა, შრომის მოწინავეთა გამოცდილების განზოგადება-გავრცელება. მაგრამ საქარხნო პროფკავშირული ორგანიზაცია ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს ამ მნიშვნელოვან უბანს, მწვავე საკითხებს არ ხდის მსჯელობის საგნად, იშვიათად აწყობს ლექცია-მოხსენებებს ტექნიკურ თემებზე. წელს გამოწვის საამქროში არცერთი ლექცია არ არის წაკითხული. მოწინავე გამოცდილების შესახებ იშვიათად წერენ ადგილობრივ კედლის გაზეთშიც.

ტექნიკური პროპაგანდის კარგად დაყენებაში და მოწინავე გამოცდილების გავრცელებაში დიდი როლის შესრულება შეუძლია აგრეთვე ქარხნის კულტურის სახლს, მაგრამ აქაც დავიწყებულია მოწინავე ადამიანებთან შეხვედრების მოწყობა, მათი გამოცდილების გავრცელება, თუმცა ქარხანაში ასეთი ადამიანები მრავლად ჰყავთ, მაგალითად, მბრუნავი ღუმელის მემანქანე ვ. კოტიაშვილი, მეწისქვილე დ. როსებაშვილი, ელექტროშემდუღებელი ვ. პანჩენკო, მეექსკავატორე მ. ქებაძე, შიფერის საამქროს მემანქანეები შ. ნატროშვილი, ხ. ტატუნაშვილი და სხვ.

რამდენიმე სიტყვა ქარხნის რაციონალიზატორებზე. მექანიკური საამქროს უფროსის გ. ჩაფიძის რაციონალიზატორული წინადადებით წელს მესამე მბრუნავი ღუმელის ცივ მხარეზე მოეწყო სპეციალური საფარი, რომლითაც ღუმელში მაქსიმალურად შემცირდა გარედან ცივი ჰაერის შეწოვა, რითაც ღუმელის გამოყენების კოეფიციენტი 10 პროცენტით გაიზარდა. საჭიროა ასეთივე საფარი მოეწყოს სხვა ღუმელებზე, მაგრამ ეს აქ არც გახსენებიათ.

წელს სულ შეტანილი 26 და გასულ წელს დარჩენილი 5 რაციონალიზატორული წინადადებიდან წარმოებაში დანერგილია 12, უარყოფილია 4 წინადადება, ხოლო დაუსრულებელ განხილვა-დამუშავებაშია 15 წინადადება.

სრული დატვირთვით ვიმუშაოთ

მანქანა-დანადგარების სანიმუშოდ მოვლისა და მათი სრული დატვირთვით გამოყენებისათვის შეუნელებლად უნდა ზრუნავდეს საქარხნო კომიტეტიც, მაგრამ ამ მხრივ საქარხნო პროფკავშირული ორგანიზაციის მუშაობა არ არის დამაკმაყოფილებელი.

დაფქვის საამქროში არც ერთი წისქვილი არ არის გამოყენებული სრული სიმძლავრით. ასევეა შიფერის საამქროში.

არის უხარისხო პროდუქციის გამოშვების შემთხვევებიც. მარტო მაისში შიფერის საამქრომ 65.634 პირობითი ფილა უხარისხო შიფერი გამოუშვა. შიფერის გამოშვებაზე დახარჯულია 900 კილოგრამი ცემენტი ნაცვლად 883,3 კილოგრამისა და 162,5 კილოგრამი აზბესტი ნაცვლად 143 კილოგრამისა.

საჭიროა კასპის ცემენტის ქარხნის პროფკავშირულ ორგანიზაციას საქმიანი დახმარება გაუწიოს ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციამ.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ვინ მიიღებს სიმინდის მაღალ მოსავალს?

დ. მახარაძე.

* * *

ამ უკანასკნელ წლებში მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს სიმინდის კულტურის ფართოდ განვითარებას. მე გადაწყვეტე ჩავმდგარიყავი სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატთა რიგებში. ვუფლი 1 ჰექტარ სიმინდის ზაკვეთს და 2-3 წელია სიმინდის მაღალ მოსავალს ვიღებ.

პრესაში ხშირად ვკითხულობდი სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატთა შრომითს გამოცდილებაზე. განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია ცნობილი მესიმინდის ჩ. ქვაჩახიას მიღწევებმა, და მთელი მონდომებით შეუდექი მუშაობას. გასულ წელს კოლმეურნეთა საერთო კრებაზე ვალდებულება ვიკისრე ერთ ჰექტარ ნაკვეთზე მიმეღო 90 ცენტნერი სიმინდი. ზოგიერთებს ეს გაუკვირდათ.

თესვა დროზე და მაღალხარისხოვნად ჩავატარე, სიმინდი დავთესე კვადრატულ-ბუდობრივი წესით, ისე რომ ბუდეებს შორის მანძილი არ აღემატებოდა 70 სანტიმეტრს. თვითეულ ბუდეში 25 გრამამდე აზოტისა და ფოსფორის სასუქი შევიტანე, რომელშიც ცოტა რაოდენობით კალიუმიც ერია, თვითეულ ბუდეში შევიტანე აგრეთვე ერთ კილოგრამამდე „გადამწვარი“ ნაკელი. ყველა ეს, ერთად არეული, საუკეთესო საკვებია სიმინდის მცენარისათვის, თვითეულ ბუდეში დავთესე 4 მარცვალი.

პირველი გათოხნა დათესვიდან 18 დღის შემდეგ ჩავატარე, მეორე და მესამე გათოხნა კი — შემდგომი 2 კვირის განმავლობაში. სიმინდის დატარიანების დაწყებისას თითოეულ ფართობზე შევიტანე 800 კილოგრამამდე აზოტოვანი სასუქი. ერთ ჰექტარ ნაკვეთზე შევინარჩუნე 45.000 ძირი მცენარე.

შარშან ჰექტარზე 105 ცენტნერი სიმინდი მოვიყვანე. წელს კი უფრო გავაუმჯობესე მუშაობა. ნათესი ფართობი მაღალხარისხოვნად დავამუშავე. მოსავალსაც კარგი პირი უჩანს. თვითეულ მცენარეს 3-4 ტარო აქვს. წელს ჩემი ნაკვეთიდან 140 ცენტნერ სიმინდს მივიღებ მარცვლად. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეული მყავს უხვი მოსავლის ოსტატები: მახარაძის რაიონიდან ძიმითელი კოლმეურნე კ. ანდღულაძე, ჩოხატაურის რაიონიდან სოფელ ქვენობნის კოლმეურნეობის წევრი ვლ. ნანაძე. ვინ მიიღებს სიმინდის უფრო მაღალ მოსავალს, ეს შემოდგომაზე გამოჩნდება.

დ. მახარაძე,
მახარაძის რაიონის სოფელ გაღმა დვაბზუს კოლმეურნეობის წევრი.

პრესის მიმოხილვა

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გაღიდებისათვის

ასრულებენ რა პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადწყვეტილებებს, სამხრეთ ოსეთის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად სერიოზულ წარმატებებს აღწევენ სოციალისტური სოფლის მეურნეობის, კერძოდ საზოგადოებრივი მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის საქმეში. ოლქის კოლმეურნე გლეხობა, მექანიზატორები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, რომლებიც გაცხოველებით ემზადებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, ერთსულოვნად გამოეხმაურნენ პარტიის მოწოდებას — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდების ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის გაჩაღებულ საყოველთაოსახალხო ბრძოლაში სამხრეთ ოსეთის მშრომელებს სერიოზულ დახმარებას უწევს საოლქო გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“.

„საბჭოთა ოსეთი“ თანმიმდევრულად და საქმიანად ეწევა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საკითხებზე პარტიის გადწყვეტილებათა პროპაგანდას, რაზმავს ოლქის მშრომელებს სოფლის მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის მკვეთრი აღმავლობის უზრუნველსაყოფად.

სამხრეთ ოსეთის ბუნება ხელსაყრელ პირობებს ქმნის მეცხვარეობის წარმატებით განვითარებისათვის. განთქმულია ოსეთის მთების შესანიშნავი საძოვრები, ზამთარში მეცხოველებს შველით ყიზლარი. რაც მთავარია, ეს მხარე მდიდარია შრომისმოყვარე ადამიანებით, რომლებმაც მეცხოველეობის განვითარება, მისი პროდუქტიულობის წარმოების მკვეთრი გადიდება თავიანთ ღვიძლ საქმედ მიიჩნიეს. და მართლაც სამაყო და მისაბაძია ამ ოლქის კოლმეურნეობათა მოწინავე მეცხოველეების შრომითი მაგალითი, მათი თავდადება. სწორედ ამ თემაზე, რომელიც ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანია, გაზეთში ხშირად შეხვდებით ცოცხლად და მიმზიდველად გაკეთებულ მასალებს.

— საამაყოა შრომობდე კარგი, ერთგული მეცხვარის სახელით! — ასეთი საერთო სათაური აქვს წამძღვარებული სპეციალურ გვერდს, რომელიც გამოქვეყნებულია „საბჭოთა ოსეთის“ მიმდინარე წლის 21 ივნისის ნომერში. ამ გვერდში დაბეჭდილ წერილებში დამაჯერებლად და საყმის ცოდნით არის განზოგადებული მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილება. ამასთან მათში მოთხრობილია ლენინგორელ კოლმეურნეთა იმ პატრიოტულ თაოსნობასა და ენთუზიაზმზე, რასაც ისინი იჩენენ მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების საქმეში. სოფელ ბორჯომის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის მწყემსი ი. გოჯამვილი თავის წერილში, რომელიც დასახელებულ გვერდშია დაბეჭდილი, მკითხველებს აცნობს, თუ რა გზით მიაღწიეს მან და მისმა ამხანაგებმა წარმატებებს, რა ამოცანები აქვთ დასახული.

„ოცდაექვსი წელია, — ამბობს ის, — რაც ცხვარში დავდივარ. მეცხვარეობისადმი ისეთი დაუცხრომელი მზრუნველობა და ყურადღება, როგორსაც ამჟამად პარტია და მთავრობა იჩენენ, ჩვენ არასდროს არ გვიგრძვნია. ჩვენც, უბრალო ადამიანები, რომლებსაც დიდად გვიფასდება შრომა, არ ვიშურებთ ძალასა და ენერგიას, რათა გავამრავლოთ ცხვრის ფარები, სამშობლოს მივცეთ რაც შეიძლება მეტი ხორცი, მატყლი და სხვა პროდუქტები“.

გაზეთი დიდ ადგილს უთმობს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, განსაკუთრებით მეძროხეობის ფერმის მუშაკთა საქმიანობას. გაანაზღაგებს მწველავების, მწყემსებისა და ფერმის სხვა მოწინავე ადამიანების გამოცდილებას. გაზეთმა მთელი ოლქის მშრომელებს გააცნო სახელმოხვეჭილი მეცხოველეები, მათ შორის ლენინგორის რაიონის სოფელ წინაგრის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მწველავები ს. გუსოევა, ე. კაზიევა და სხვები, რომლებსაც მეცხოველეობის ფერმებში მუშაობა სახელისა და დიდების საქმედ მიაჩნიათ. მწველავი ს. გუსოევა, — წერს გაზეთი, ხალხისა და სამშობლოს ღრმა სიყვარულით არის გამსჭვალული, მას დღეს არ აკმაყოფილებს ის, რასაც გუშინ მიაღწია. ის პროგრესული ადამიანია და წინ იხედება. შარშან 2.700 კილოგრამი რძე მიიღო თვითეულ ძროხაზე. წელს კი მისი გადაწყვეტილებაა ცხრა ძროხიდან მიიღოს სულ მცირე 27 ათასი ლიტრი რძე, თვითეულზე 3.000 ლიტრი.

ცნობილია, რომ მეცხოველეობის განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. კარგად იქცევა გაზეთი, ამ საკითხზე ხშირად რომ ბეჭდავს წარმატებათა ამსახველ, მამხილებელ და საკონსულტაციო ხასიათის კვალიფიციურად მომზადებულ წერილებსა და კორესპონდენციებს. ამ მხრივ ყურადღების ღირსია გაზეთში ახლახან გამოქვეყნებული წერილები, „მეცხოველეობას — მტკიცე საკვები ბაზა“, „მიწის ზედაპირზე დასილოსება კეხვში“, „შევქმნათ თივის სადაზღვევო მარაგი“ და სხვ.

მიმდინარე წელს ოსეთის მშრომელთა ინიციატივით სოციალისტური შეჯიბრება გაჩაღდა აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთიანი ყარაბაღისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქებს შორის. ამ შეჯიბრებამ ფართო და საქმიანი ხასიათი მიიღო. ყარაბაღელები ეწვევნენ მოძმე ოსეთის მშრომელებს, გაეცნენ მათს საქმიანობას, ოსებიც იყვნენ ყარაბაღში, ნახეს ყარაბაღელთა აყვავებული მხარე, ურთიერთს გაუზიარეს გამოცდილება. ამ ორ მოძმე ოლქს შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებას უკვე გარკვეული სარგებლობა მოაქვს ყარაბაღისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის. „საბჭოთა ოსეთმა“ ამ უკანასკნელად ორჯერ მიუძღვნა სპეციალური გვერდი ამ თემას.

აზერბაიჯანის კპ მთიანი ყარაბაღის საოლქო კომიტეტის მდივნის წერილში, რომელიც სამხრეთ ოსეთისა და ყარაბაღის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრებისადმია მიძღვნილი, ნათქვამია:

„ჩვენ გავეცანით სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მუშაობას. დიდად კმაყოფილი დავრჩი, როცა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ქრისტესიაშვილმა მოგვითხრა მშრომელთა ოლქის ისტორიაზე, მისი განვითარებასა და აღმავლობის გზებზე. ბევრი რამ კარგი აქვთ ერედველებს, რაც ჩვენ უნდა გადავიღოთ. განსაკუთრებით აღსანიშნავია სარძეო-სასაქონლო ფერმის მუშაობა. აქ მართლაც სანიმუშო წესრიგია დამყარებული. თავდადებულად შრომობენ ერედველები მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის. მისაბაძია შრომის ორგანიზაცია მეცხოველეობის ფერმაში, დისციპლინა, განსაკუთრებით კარგად არის დაყენებული პროდუქტების აღრიცხვა. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს ჩვენი ოლქის სოფელ ჩერტეზის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. ადამიანი უახლოეს პერიოდში მივავლინოთ ერედველში, რათა კარგად გაეცნოს იქაურ მეცხოველეთა სანიმუშო საქმიანობას“.

სპეციალურ გვერდებში გამოქვეყნებულ წერილებში კარგად არის ასახული ის ფაქტიც, რომ სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შედეგად დღითიდღე მტკიცდება ოს და ყარაბაღელ ხალხთა ლენინური მეგობრობა.

გაზეთი სათანადო ყურადღებას უთმობს აგრეთვე მეცხოველეობის განვითარების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა ცხილებას. ამ საკითხზე ხშირად ბეჭდავს კრიტიკული ხასიათის წერილებს, აქვეყნებს რედიის მასალებს. იღებს საჭირო ზომებს გამოქვეყნებული მამხილებელი წერილების ქმედითობისათვის.

მაგრამ ყოველივე ეს როდი ნიშნავს, რომ „საბჭოთა ოსეთს“ ნაკლოვანებები არა აქვს საზოგადოებრივი მეცხოველეობის გაშუქების საქმეში. გაზეთის სერიოზული ნაკლია ის, რომ იგი ძალიან ცოტას წერს მეცხოველეებთან საგაზეთაციო მუშაობის საკითხებზე. ამასთან ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს მეცხოველეთა მიერ შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას.

გაზეთის ერთ-ერთი სერიოზული ნაკლია ისიც, რომ იგი საერთოდ სუსტად აშუქებს საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებას, თითქმის არაფერს არა წერს პარტიული ორგანიზაციების როლსა და ამოცანებზე მეცხოველეობის განვითარების საქმეში.

გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“ კიდევ უფრო კარგად უნდა დაეხმაროს ოლქის მშრომელებს ხაზოგადოებრივი მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის საქმეში.

ბათუმის რაიონის სოფელ ურეხის კოლმეურნეობა წლითიწლობით ზრდის მეცხოველეობის პროდუქტიულობას. წელს აქაური მეცხოველეები წარმატებით მუშაობენ. მათ 1 აგვისტოსათვის 47 საფურაჟე ძროხიდან თვითეულზე უკვე მიიღეს 1.800 კილოგრამი რძე და იბრძვიან ამისათვის, რომ წლის ბოლომდე საშუალოდ თვითეულ ძროხაზე მიიღონ 2.500 კილოგრამი რძე.

მეცხოველეთა შორის გაჩაღებულ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მწველავები ლ. კოპინსენკო და გ. ვარშანიძე. პირველმა მათგანმა წელს მოსავლელად მიჩენილი 11 ძროხიდან თვითეულზე უკვე მოწველა 1.999 კილოგრამი რძე, ხოლო მეორემ — 12 ძროხიდან თვითეულზე 2.052 კილოგრამი. **სურათზე:** ლ. კოპინსენკო (მარჯვნივ) და გ. ვარშანიძე მათთვის მოსავლელად მიჩენილ ძროხებთან.

ფოტო შ. გოქაძისა.

რსდმპ (ბ) მეექვსე ყრილობა

ორმოცი წლის წინათ, 1917 წლის 26 ივლისიდან 3 აგვისტომდე (ძვ. სტილით) პეტროგრადში მუშაობდა ბოლშევიკური პარტიის VI ყრილობა. ყრილობამ უდიდესი როლი შეასრულა რუსეთის და მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობის ისტორიაში. მან შეაჯამა აპრილის კონფერენციის შემდეგ გაწეული მუშაობა და დაიწყო პარტიის მომზადება ოქტომბრის რევოლუციისათვის. ყრილობამ გეზი მისცა პარტიას შეიარაღებული აჯანყებისაკენ, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისაკენ.

პარტიის VI ყრილობის ძირითადი საკითხები იყო ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, რომლებზეც მოხსენებით გამოვიდა ი. ბ. სტალინი; განხილულ იქნა აგრეთვე პროგრამის გადასინჯვის, სასამართლოში ლენინის გამოცხადების შესახებ, საორგანიზაციო, პროფკავშირული მოძრაობისა და სხვა საკითხები.

ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში მოცემულ იქნა იმ მუშაობის ანალიზი, რომელიც პარტიამ გასწია სრულიად რუსეთის მეშვიდე (აპრილის) კონფერენციასა და პარტიის VI ყრილობას შორის განვლილ პერიოდში. აგრეთვე განზოგადებულ იქნა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისათვის ბოლშევიკების ბრძოლის გამოცდილება.

მოხსენებაში პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ მთავარი ყურადღება დაეთმო რუსეთის რევოლუციის ბედისა და მისი განვითარების პერსპექტივების საკითხს. ცნობილია, რომ ივლისის ამბების შემდეგ ორხელისუფლებიანობა დამთავრდა, ძალაუფლება მთლიანად კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ხელში აღმოჩნდა, რუსეთში რეაქცია მძვინვარებდა. ამიტომ ცალკეული ოპორტუნისტული ელემენტები — ბუხარინი, პრეობრაჟენსკი და სხვები წინააღმდეგი იყვნენ რუსეთში პროლეტარული რევოლუციისა და სოციალიზმის მშენებლობისა. პრეობრაჟენსკი წინადადებას იძლეოდა ძალაუფლების დაპყრობის შესახებ ყრილობის რეზოლუციაში აღნიშნულიყო, რომ სოციალისტური გზით რუსეთის წარმართვა შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთში მოხდებოდა პროლეტარული რევოლუცია. უპასუხებდა რა პრეობრაჟენსკის ამ შესწორებას, ი. ბ. სტალინი ამბობდა:

„გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ სწორედ რუსეთი იქნება სოციალიზმისაკენ გზის გამკაფავი ქვეყანა. დღემდე არც ერთი ქვეყანა არ სარგებლობდა ომის პირობებში ისეთი თავისუფლებით, როგორც რუსეთი, და არ უსინჯავს წარმოებისადმი მუშათა კონტროლის განხორციელება. გარდა ამისა, ჩვენი რევოლუციის ბაზა უფრო ფართოა, ვიდრე დასავლეთ ევროპაში, სადაც პროლეტარიატი დგას ბურჟუაზიის პირისპირ სრულიად განმარტოებული. ჩვენში კი მუშებს მხარს უჭერენ გლეხობის უღარიბესი ფენები... უნდა უკუვაგდოთ დრომოჭმული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მხოლოდ ევროპას შეუძლია მიგვითითოს გზა“. (თხზ., ტ. 3, გვ. 210-211).

ყრილობამ უარყო პრეობრაჟენსკის შესწორება.

ყრილობაზე მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ლენინური დებულების წინააღმდეგ გაიღაშქრა ბუხარინმა, რომელიც ამბობდა, რომ გლეხები ობორონცულად არიან განწყობილნი და რევოლუციაში მხარს არ დაუჭერენ მუშათა კლასს, ამიტომ მუშათა კლასს სოციალისტურ რევოლუციაში მოკავშირე არა ჰყავს და არც ეყოლებაო. ბუხარინის ეს გამოსვლა ყრილობამ უარყო, როგორც ლენინიზმის პოზიციებიდან აშკარა გადახვევა. ყრილობამ თავის გადაწყვეტილებებში განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ლენინურ იდეას პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის კავშირის როგორც სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების აუცილებელი პირობის შესახებ.

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია „პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ“ და პარტიას ამოცანად დაუსახა შეიარაღებული აჯანყების მომზადება და განხორციელება.

VI ყრილობამ ივლისის ამბების შედეგად შექმნილი მდგომარეობის შესაბამისად განიხილა პარტიის დამოკიდებულება ლოზუნგისადმი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ VI ყრილობამდე ეს ლოზუნგი ითვალისწინებდა საბჭოების ხელში ძალაუფლების მშვიდობიან გადასვლას, რადგან ძალა მაშინ საბჭოების მხარეზე იყო, მხოლოდ საჭირო იყო უმრავლესობის მოპოვება საბჭოებში. მაგრამ ივლისის ამბების შემდეგ მთელი ძალაუფლება გადავიდა კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ხელში. ამიტომ VI ყრილობამ ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ დროებით მოხსნა. ბოლშევიკები როდი უარყოფდნენ საბჭოებს როგორც მუშათა კლასის რევოლუციური ორგანიზაციის ფორმას და ბრძოლა საბჭოების ძალაუფლებისათვის, არამედ ყრილობის გადაწყვეტილებაში ლაპარაკი იყო ესერულ-მენშევიკურ საბჭოებზე, რომლებმაც ძალაუფლება ნებაყოფლობით გადასცეს ბურჟუაზიას. ყრილობა პარტიული ორგანიზაციებისა და პარტიის წევრებისაგან მოითხოვდა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებში დარჩენას, რათა გამოეყენებინათ ისინი როგორც ტრიბუნა მენშევიკებისა და ესერების გამცემლური პოლიტიკის მხილებისათვის, ბოლშევიკური პარტიის ლოზუნგების პროპაგანდისათვის. მართლაც ბოლშევიკების ახსნა-განმარტებითმა მუშაობამ შედეგი გამოიღო, საბჭოები განთავისუფლდნენ მენშევიკებისა და ესერების გავლენისაგან. კორნილოვის აჯანყების შემდეგ საბჭოები ბოლშევიკების მხარეზე შემობრუნდნენ. დღის წესრიგში კვლავ დადგა ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“.

პარტიის VI ყრილობამ, გეზი აიღო რა შეიარაღებული აჯანყებისაკენ, დაამტკიცა პარტიის ეკონომიური პლატფორმა, რომელმაც თავისი გამოხატულება ჰპოვა ყრილობის რეზოლუციაში ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ იმპერიალისტური ომის სამი წლის შემდეგ რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა კატასტროფულია, წარმოება სრულიად მოშლილია, ტრანსპორტის ქსელი, სახელმწიფოს ფინანსები კრახს უახლოვდება. ქვეყანა განიცდის სასურსათო კრიზისს, სათბობისა და საერთოდ წარმოების საშუალებათა აბსოლუტურ ნაკლებობას, მზარდ უმუშევრობას, მასების უდიდეს გაღატაკებას.

ეკონომიური მდგომარეობის შესახებ მიღებული რეზოლუცია ითვალისწინებდა ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის დამხობას, მემამულეთა მიწების კონფისკაციას და მთელი მიწების ნაციონალიზაციას, ბანკებისა და მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაციას, წარმოებასა და განაწილებაზე მუშათა კონტროლის დაწესებას, სახელმწიფო ვალების გადახდაზე უარის თქმას.

ამრიგად, ყრილობამ პარტიის ძირითად ლოზუნგად წამოაყენა შეიარაღებული აჯანყების გზით ბურჟუაზიის დიქტატურის დამხობა. მაგრამ ყრილობა იძლეოდა გაფრთხილებას: „პროლეტარიატი არ უნდა წამოეგოს პროვოკაციის ანკესს ბურჟუაზიის მხრივ, როგელიც ძალიან მოწადინებულია ახლანდელ მომენტში გაიწვიოს პროლეტარიატი ნაადრევ ბრძოლაში. მან მთელი ძალღონე უნდა მიმართოს ძალთა ორგანიზაციისა და მომზადებისაკენ იმ მომენტისათვის, როდესაც საერთო-ნაციონალური კრიზისი და ღრმა მასობრივი აღმავლობა ხელსაყრელ პირობებს შექმნის ქალაქისა და სოფლის ღარიბობის გადმოსასვლელად მუშათა მხარეზე — ბურჟუაზიის წინააღმდეგ“.

პარტიის VI ყრილობამ დიდი ყურადღება მიაქცია ბოლშევიკური პარტიის მუშაობას პროფკავშირებში; დაგმო ოპორტუნისტული მოსაზრება პროფკავშირების ნეიტრალობის შესახებ და ჩამოაყალიბა მათი ამოცანები. ყრილობამ აღნიშნა, რომ პროფკავშირები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეასრულებენ მათ წინაშე მდგომ ამოცანებს, თუ დარჩებიან მებრძოლ კლასობრივ ორგანიზაციებად და თავიანთ ბრძოლას წარმართავენ პროლეტარიატის პარტიასთან მჭიდრო თანამშრომლობით. ომის უსწრაფესად დამთავრების მიზნით დაუყოვნებლივ დაამყარებენ ურთიერთობას ყველა იმ პროფკავშირებთან, რომლებიც ეწევიან ომს ომის წინააღმდეგ და მათთან ერთად შეიმუშავებენ ომის წინააღმდეგ საერთო ბრძოლის გეგმას; თუ ისინი თავიანთ ბრძოლას დაუკავშირებენ სოციალურ ბრძოლებს.

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია ახალგაზრდობის კავშირების შესახებ, სადაც აღნიშნული იყო, რომ „...პარტია რუსეთშიც იმას უნდა ესწრაფვოდეს, რომ მუშა ახალგაზრდობამ შექმნას დამოუკიდებელი ორგანიზაციები, რომლებიც პარტიას ორგანიზაციულად კი არ დაექვემდებარებიან, არამედ მხოლოდ სულიერად იქნებიან მასთან დაკავშირებული“. ყრილობის გადაწყვეტილება კომუნისტურმა პარტიამ ბრწყინვალედ შეასრულა. ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი წარმოადგენს მძლავრ ძალას და ეს ძალა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებით იბრძვის კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

ყრილობაზე მიღებულ იქნა პარტიის ახალი წესდება. მასში აღნიშნული იყო, რომ პარტიის ყველა ორგანიზაცია აგებული უნდა იყოს დემოკრატიული ცენტრალიზმის საფუძვლებზე, რაც ნიშნავდა პარტიის ყველა ხელმძღვანელი ორგანოს არჩევას, პარტიული ორგანოების პერიოდულ ანგარიშგებას თავისი ორგანიზაციების წინაშე, მტკიცე პარტიულ დისციპლინას და უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილებას, უმაღლესი პარტიული ორგანიზაციების გადაწყვეტილებათა აუცილებელ სავალდებულობას ქვემდგომი ორგანოებისათვის.

VI ყრილობამ განიხილა ს. ორჯონიკიძის მოხსენება სასამართლოში ვ. ი. ლენინის გამოცხადების შესახებ. ლენინიზმის მოწინააღმდეგეები — კამენევი, რიკოვი, ტროცკი და სხვები წინადადებას იძლეოდნენ ლენინი გამოცხადებულიყო კონტრრევოლუციურ სასამართლოში. VI ყრილობამ ერთხმად უარყო ასეთ „სასამართლოში“ ლენინის გამოცხადების მომხრეთა შეხედულებანი და მისალმება გაუგზავნა ვ. ი. ლენინს, რომელიც არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია „პროპაგანდის შესახებ“, სადაც აღნიშნულია, რომ პარტიული ორგანიზაციის ზრდამ, მის რიგებში მუშათა ფართო მასების ჩაბმამ პარტიის წინაშე მწვავე ფორმით დააყენა პროპაგანდისა და აგიტაციის სწორად მოწყობის საკითხი. ამ მიზნით ყრილობამ საჭიროდ ჩათვალა: შეიქმნას პარტიული სკოლები, სადაც მუშებს შეეძლებათ ისწავლონ დამოუკიდებლად გამოსვლა, გამოიცეს პოპულარულ-მეცნიერული ხასიათის ბროშურები, რომლებიდანაც მუშები მიიღებენ მასალებს გამოსვლებისათვის.

ყრილობამ აირჩია პარტიის ცენტრალური კომიტეტი. ყრილობის დავალებით პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რუსეთის ყველა მშრომელს, მუშას, ჯარისკაცსა და გლეხს მიმართა მანიფესტით: „მაშ ემზადეთ ახალი ბრძოლებისათვის, ჩვენო მებრძოლო ამხანაგებო! მედგრად, მამაცურად და მშვიდად, პროვოკაციას ნუ აჰყვებით, აგროვეთ ძალები, დაეწყვეთ მებრძოლ რაზმებად. პარტიის დროშის ქვეშ შემოკრბით, პროლეტარებო და ჯარისკაცებო! ჩვენი დროშის ქვე

მასობრივი ბინათმშენებლობის გაშლისათვის

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის დადგენილებამ საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ შრომითი ენთუზიაზმის ახალი აზვირთება გამოიწვია ყველა სარმოში, ყველა მშენებლობაზე. ამასთან ამ დადგენილებამ აამოძრავა მასები ბინათმშენებლობის მასობრივად გაფართოებისათვის, ბევრ მუშას, მოსამსახურეს აღუძრა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის აგების სურვილი.

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოში მრავალი ათასი კაცი მუშაობს. ამ მრავალრიცხოვანი კოლექტივიდან, როგორც აღრიცხვამ გვიჩვენა, საბინაო პირობების გაუმჯობესებას საჭიროებს 512 კაცი. მართალია, ჩვენი ტრამვაელი მუშების საბინაო ფონდს ყოველწლიურად ემატება ახალი საცხოვრებელი ფართობი, მაგრამ საბინაო მშენებლობის არსებული ტემპი მაინც ვერ უზრუნველყოფს უახლოეს რამდენიმე წელიწადში მთელი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. მაგალითად, 1955 წელს ჩვენ ავაშენეთ სულ 38-ბინიანი სახლი ბარნოვის ქუჩაზე, 1956 წელს ავაგეთ ახალი 12-ბინიანი სახლი. ასევე ვაშენებთ ამჟამად ორ ოთხსართულიან სახლს შაუმიანის ქუჩაზე და ხუთსართულიან სახლს ბარნოვის ქუჩაზე. თუ კვლავაც ასეთი ტემპით განვაგრძეთ ბინათმშენებლობა, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს კოლექტივის წევრებს კარგი ბინებით კიდევ დიდხანს ვერ დავაკმაყოფილებთ.

მაშასადამე, სახელმწიფო სახსრებით ბინათმშენებლობის განვითარებასთან ერთად, საჭირო იქნება, როგორც პარტიისა და მთავრობის ეს ახალი დადგენილებაც მიგვითითებს, ფართოდ გამოჩაღოთ ინდივიდუალური და კოლექტიური ბინათმშენებლობა საკუთარი სახლებით.

ტრამვაელთაგან ამჟამად ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლს 50 კაცი იშენებს. 39 კაცს აღებული აქვს სახელმწიფო სესხი სახლის ასაგებად. მუშები, მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკოსები ყოველდღე მოდიან ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს პარტიულ კომიტეტში და მოგვმართავენ დახმარებისათვის ინდივიდუალურ ბინათმშენებლობაში. ჩვენ მათ ამ დახმარებას ვუწევთ და, რაკი პარტიული ორგანიზაციის მხრივ მხარდაჭერას გრძნობენ, ხალისით იწყებენ სახლების აგებას.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ბინათმშენებლობის მასობრივად გაშლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოთა პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების შეწყობილ მუშაობას. ღრმაღელეში ტრამვაელთათვის გამოყოფილია გარკვეული ფართობი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ასაგებად, მაგრამ ჩვენს მუშა-მშენებლებს ხელი ეშლებოდათ იმის გამო, რომ სამშენებლო ნაკვეთებზე მისასვლელი გზები არ იყო, არ ჰქონდათ წყალი, რაც მშენებლობისათვის ისევე აუცილებელია, როგორც საშენი მასალა. მუშა-მშენებლებმა პარტიულ კომიტეტში დააყენეს საკითხი მათთვის დახმარების გაწევის შესახებ. პარტიულმა კომიტეტმა იმსჯელა ამ საკითხზე, და მოკლე დროში მშენებლებს წყალიც გავუყვანეთ და გზებიც შევუკეთეთ.

პარტიული ორგანიზაცია ყოველდღიურად ადევნებს თვალყურს მშენებლების მუშაობას, ყოველთვის უწევს მათ შესაძლებელ დახმარებას. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ასეთი მუშაობით ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მუშაკებს სულ რამდენიმე წლის განმავლობაში უზრუნველყოფთ კარგი ბინებით.

ვ. პატარაია,
ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი.

ბათუმელ მეზღვაურებთან შეჯიბრებაში

დიდ წარმატებებს აღწევს სოხუმის საზღვაო ნავსადგურის კოლექტივი ბათუმის ნავსადგურის კოლექტივთან შეჯიბრებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის.

განვლილი 7 თვის გეგმა სოხუმელმა მეზღვაურებმა ვადამდე მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს და გეგმის გადამეტებით მრავალი ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი გადაამუშავეს. მრავალი ხომალდი, რომელიც სოხუმის ნავსადგურში ჩამოვიდა, გადამუშავებულია ვადამდე, ხოლო ამ ხომალდების ნავსადგურში დგომის დრო შემცირებულია 22 პროცენტით, ამასთან ერთი ტონა ტვირთის გადამუშავების თვითღირებულება შემცირებულია 17 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება ამაღლებულია 15 პროცენტით. ნავსადგურის კოლექტივმა გეგმით გათვალისწინებული ხარჯების 5 პროცენტით შემცირება იკისრა, ფაქტიურად კი ეს ხარჯები შემცირებულია 11 პროცენტით.

ნავსადგურის მუშაკებს არ ჩამორჩებიან სანავსადგურო ფლოტის მუშაკები. მგზავრთა გადაყვანის ნახევარი წლის გეგმა მეზღვაურებმა 137,5 პროცენტით შეასრულეს, ხოლო ივლისის თვიური დავალება 22 იულისისათვის გაანაღდეს. ნავიგაციის დაწყებიდან აგვისტომდე გეგმის გადამეტებით გადაყვანილია 50.000-მდე მგზავრი. ხომალდებით მგზავრთა გადაყვანის თვითღირებულება შემცირებულია 30 პროცენტით.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მტვირთავები გ. შაპოვალოვი (ბრიგადირი), ა. მელქონიანი, ხ. ხაჩატურიანი, პ. კოზიუბა, ბ. გელაშვილი, ამწეს მემანქანეები — ა. კირაკოსიანი, პ. ეპრეინოვი, გ. გუკასიანი, ავტომანქანათა მძღოლები—ზ. გვაძაბია, გ. შიროიანი, ჩ. ლაკობა, თბომავალ „იაშმის“, კატერების — „ახალი ათონის“, „გუდაუთის“ და „ენგურის“ ეკიპაჟები (კაპიტნები გ. კონონენკო, ა. ხუციშვილი, გ. ბავრო).

სოხუმის ნავსადგურის მუშაკებმა მეორე კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით შეინარჩუნეს წინათ მიღებული გარდამავალი წითელი დროშა.

ჯ. ვზოროვი,
სოხუმის ნავსადგურის მთავარი ინჟინერი.

ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲝᲤᲗᲐᲚᲛᲝᲚᲝᲒᲘ

გ. ა. ტარსაიძის დაბადებიდან 100 წლისთავის გამო

გიორგი (გიგო) ალექსანდრეს-ძე ტარსაიძე საქართველოში მეცნიერული და პრაქტიკული ოფთალმოლოგიის ფუძემდებლად ითვლება. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე მეცნიერთა ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეში.

გ. ტარსაიძე დაიბადა 1857 წლის 8 აგვისტოს გორის მაზრის სოფელ ბერშუეთში, სადაც გაატარა ბავშვობის წლები. იგი აქ გაეცნო გლეხთა მძიმე ცხოვრებას და მშრომელებისადმი უანგარო სიყვარულით განიმსჭვალა.

1875 წელს გ. ტარსაიძე წარჩინებით ამთავრებს თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიას. მალე იგი, როგორც წარჩინებული მოსწავლე, კავკასიიდან სტიპენდიანტად ჩაირიცხა ხარკოვის უნივერსიტეტში. გიორგის ერთ-ერთი მასწავლებელი იყო გამოჩენილი რუსი ოფთალმოლოგი და საზოგადო მოღვაწე პროფესორი ლეონარდ ლეოპოლდის-ძე გირშმანი, რომელმაც შთაუნერგა მას ავადმყოფებისადმი მზრუნველობა და სიყვარული.

უნივერსიტეტის საქმიმო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ გ. ტარსაიძეს პროფესორი გირშმანი წინადადებას აძლევს დარჩეს მასთან სამუშაოდ. მას, მართალია, დიდი სურვილი ჰქონდა ემუშავნა სახელოვან მასწავლებელთან, მაგრამ, როგორც სახელმწიფო ხარჯზე გაზრდილი, ვალდებული იყო რამდენიმე ხანს პროვინციაში ემუშავნა. ამიტომ იგი ბრუნდება საქართველოში და მუშაობას იწყებს ქუთაისის გუბერნიის რაჭის მაზრის ერთ-ერთ დაბაში მკურნალ-ექიმად.

მოვალეობის მოხდის შემდეგ გ. ტარსაიძე მიემგზავრება პროფესორ ლ. გირშმანთან და ექვსი წლის განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობს ცოდნის გასაღრმავებლად. 1888 წლის დასაწყისში გ. ტარსაიძე საფუძვლიანი ცოდნით შეიარაღებული ბრუნდება საქართველოში და მუშაობას იწყებს თვალის ექიმად თბილისში, ავლაბრის ახლადგახსნილ სამკურნალო დაწესებულებაში.

XIX საუკუნის მიწურულამდე საქართველოში თვალის სპეციალური სამკურნალო დაწესებულება არ არსებობდა. ასეთ ავადმყოფებს დახმარებას უწევდნენ ჰოსპიტლებში მომუშავე თვალის ექიმები.

გ. ტარსაიძე.

• • •

1889 წლის ნოემბერში თბილისში არსდება „ბრმათა სამზრუნველო კავკასიის განყოფილება“. ამ განყოფილებამ გ. ტარსაიძის დაბეჯითებითი მოთხოვნით 1892 წლის 24 ნოემბერს თბილისში გახსნა თვალის სამკურნალო საავადმყოფო, რომლის დირექტორად გ. ტარსაიძე დაინიშნა. იგი მას ხელმძღვანელობდა ათი წლის განმავლობაში, რისთვისაც არავითარ გასამრჯელოს არ იღებდა.

გ. ტარსაიძე მთელი თავისი დაუშრეტელი ენერგიით შეუდგა მის მიერ შექმნილ საავადმყოფოში მუშაობას. მისმა უმწიკვლო მუშაობამ, უსაზღვრო კაცთმოყვარეობამ და სპეციალობაში დახელოვნებამ მოკლე ხანში დიდი სიყვარული და პატივისცემა მოუპოვა მას ხალხის ფართო მასებში. ტარსაიძის მიერ ჩატარებული ოპერაციები ბრწყინვალე შედეგებს იძლეოდა, რამაც ფართოდ გაუთქვა სახელი დიდ მკურნალს.

თვალის სნეულებათა საავადმყოფოს დაარსებიდ გ. ტარსაიძემ დიდი წელილი შეიტანა [illegible] ექიმთა აღზრდის საქმეში.

1918 [illegible] დაარსდა ქართული უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტი. ამ ფაკულტეტის თვალის სნეულებათა კათედრა ჩამოყალიბდა გ. ტარსაიძის მიერ შექმნილი საავადმყოფოს ბაზაზე.

გ. ტარსაიძის მოღვაწეობის პირველი ექვსი წლის განმავლობაში საავადმყოფოს როგორც სტაციონარში, ისე ამბულატორიაში გაიარა 350.000-ზე მეტმა თვალით ავადმყოფმა, გაკეთდა 6.000 ოპერაცია, აქედან ოპტიკური მიზნით, ე. ი. მხედველობის აღდგენის მიზნით, 2.000-ზე მეტი. ამ ციფრებიდან ნათლად ჩანს, თუ რა ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა საავადმყოფო გ. ტარსაიძის ხელმძღვანელობითა და უშუალო პრაქტიკული მოღვაწეობით. ამ საავადმყოფოში სამკურნალოდ მოდიოდნენ როგორც საქართველოს, ისე კავკასიის ყოველი კუთხიდან. აღსანიშნავია ისიც, რომ მათ შორის, ვისაც საავადმყოფოში საექიმო დახმარება გაეწია, 57 პროცენტს გლეხობა შეადგენდა და 27 პროცენტს ქალაქის ღარიბი მოსახლეობა. ეს ციფრები მოწმობენ, თუ რაოდენ ხელმისაწვდომი გახადა გ. ტარსაიძემ ეს დაწესებულება ღარიბი მოსახლეობისათვის.

გ. ტარსაიძის ხელმძღვანელობით აღიზარდნენ თვალის ექიმები ყარამან ჩიქოვანი, სოფიო შმიტი, კლიმენტი თოფურიძე, ივანე იგიტიანები, ალექსანდრე ნევტონოვი და შემდეგში პროფესორები ვახტანგ მუსხელიშვილი და ალექსანდრე შატილოვი.

1893-1903 წლებში გ. ტარსაიძესთან სპეციალური ცოდნის მისაღებად მივლინებული იყო კავკასიის სხვადასხვა ქალაქებიდან 15 ექიმი.

ცნობილი თვალის ექიმის გ. ტარსაიძის კალამს ეკუთვნის რამდენიმე მეცნიერული შრომა, მათ შორის ყურადღებას იქცევს მისი ნაშრომი ამიერკავკასიაში ტრაქომის გავრცელების შესახებ.

1882 წლიდან გ. ტარსაიძე კავკასიის სამედიცინო საზოგადოების წევრია. იგი ეკუთვნოდა ამ საზოგადოების პროგრესულად განწყობილ ჯგუფს.

გ. ტარსაიძის ხანმოკლე, მაგრამ ნაყოფიერმა მუშაობამ გამოძახილი ჰპოვა ქართულ მწერლობაში. ცნობილმა ქართველმა მწერალმა ნიკო ლომოურმა გ. ტარსაიძე, როგორც მკურნალმ და ძვირფასი ადამიანი, უკვდავყო მოთხრობით „პაწია მეგობრები“.

1903 წელს გ. ტარსაიძეს აღმოაჩნდა მძიმე ავადმყოფობა (პროგრესული დამბლა). იგი გარდაიცვალა 1904 წლის 24 დეკემბერს 47 წლისა.

გ. ტარსაიძის გარდაცვალებას გამოეხმაურა იმდროინდელი ქართული და რუსული პრესა. გაზეთებმა „ცნობის ფურცელმა“, „ივერიამ“ და „ნოვოე ობოზრენიემ“ ვრცელი ნეკროლოგები მიუძღვნეს მას.

დღეს მადლიერი ქართველი ხალხი პატივისცემით იგონებს ღვაწლმოსილ ექიმს გ. ტარსაიძეს, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს მოაბმარა.

დოცენტი ნ. ბერაძე.

ᲛᲔᲡᲢᲘᲘᲡ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲗᲐ ᲑᲐᲖᲐᲨᲘ

მესტიის ტურისტთა ბაზა წელს გაცილებით უკეთ მოემზადა სეზონისათვის, ვიდრე გასულ წლებში. შენობებს გაუკეთდა კაპიტალური რემონტი, მოეწყო სასადილო, საცეკვაო, ფრენბურთისა და ფეხბურთის მოედნები, ადგილობრივი რადიოგადაცემა, ბიბლიოთეკა შეივსო ახალი ლიტერატურით, გამოწერილია 10 სხვადასხვა ჟურნალი და გაზეთი. ტურბაზის კეთილმოწყობისათვის მარტო წელს 23.000 მანეთი დახარჯა.

სვანეთის ლამაზი ბუნება ყოველ წელიწადს ბევრ ტურისტს იზიდავს. ბაზა ერთდროულად 60-70 კაცს ემსახურება. სეზონის განმავლობაში ტურისტთა ბაზაში 1.500-1.700 კაცი გაივლის. უკვე ჩამოვიდა 800-მდე ტურისტი მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ხარკოვიდან, დონბასიდან, ურალიდან და სხვ., აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან.

ჩამოსულთა შორის იყვნენ ლენინგრადის გემთმშენებელი საკონსტრუქტორო ბიუროს, ქარხანა „ელექტროსილას“ ინჟინრები და მუშები, დონბასის მაღაროელები, ურალის მეტალურგები, მოსკოველ კონსტრუქტორთა ჯგუფი და სხვ. ამ დღეებში აქ იყვნენ ტურისტები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან.

ტურისტების მარშრუტია ნალჩიკი — ბეჩო — მესტია — ზუგდიდი — სოხუმი. ისინი დიდი ინტერესით ათვალიერებენ სვანეთის ისტორიულ ძეგლებს, ეცნობიან აქაურ ზნე-ჩვეულებებს, აწყობენ ლაშქრობებს ბეჩოს, მესტიის, მულახის უღელტეხილების დასათვალიერებლად. მათში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სვანური კოშკები.

ბაზაში დიდი გამოცოცხლებაა საღამოობით. ეწყობა სპორტული შეჯიბრებები, კონცერტები, შეხვედრები, ლექციები. ტურბაზის კლუბში მოწყობილია საინტერესო ფოტოგამოფენა „საქართველოს რესპუბლიკა“ და „საქართველოს შავი ზღვის სანაპიროები“.

ჩამოსულნი უზრუნველყოფილი არიან სათანადო ბინებით, კვებით, ტრანსპორტით და სხვ.

ტურისტების მოძრაობა აღნიშნული მარშრუტით შემოდგომამდე გასტანს.

ტასო არღვლიანი.

25 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ

ჭიათურა. (საკ. კორ.). ი. ბ. სტალინის სახელობის მაღაროს მუშათა კლუბი მოწინავეა ჭიათურაში. კლუბის კოლექტივს 1942 წლიდან ხელმძღვანელობს ყოფილი მაღაროელი ტიტე სიმონის-ძე გაფრინდაშვილი. კლუბის დრამატულ წრეს არაერთგზის მიუღია მონაწილეობა ოლიმპიადებსა და თვითმოქმედების დათვალიერებაში და ყოველთვის გამარჯვებული გამოსულა. ამ წრის მაღაროელი წევრები დამსახურებული პატივისცემით სარგებლობენ მშრომელთა შორის.

ტიტეს ბავშვობიდანვე აინტერესებდა ხელოვნება, თეატრი. სტალინის სახელობის მაღაროს მუშათა კლუბამდე იგი მუშაობდა ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრში მხატვრის თანაშემწედ და დამწყებ მსახიობად, აგრეთვე ვორშილოვისა და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროებში მუშათა კლუბების გამგედ. დამახასიათებელია, რომ ტ. გაფრინდაშვილი ამჟამად არა მარტო კლუბის გამგეა, არამედ დამდგმელი-რეჟისორი, მსახიობი, მხატვარი-დეკორატორი, გრიმიორი. მას ოთხმოცამდე პიესა და სკეტჩი აქვს დადგმული მუშათა კლუბის სცენაზე, სადაც თვითონ ასრულებდა მთავარ როლებს.

შავი მეტალურგიის მუშათა პროფკავშირის ჭიათურის ქალაქკომმა ამ დღეებში ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრში ტ. გაფრინდაშვილს მოუწყო დაბადების 40 წლისა და საკლუბო მუშაობის 25 წლისთავის აღსანიშნავი საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა პროფკავშირის ჭიათურის ქალაქკომის თავმჯდომარემ ე. კაპანაძემ. ტ. გაფრინდაშვილის საკლუბო მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა გ. ცხადიაშვილმა. იუბილარს მიეღოცვა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა პ. ფრანგიშვილმა, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წარმომადგენელმა ს. კაჭარავამ, რომელმაც რესპუბლიკური კომიტეტის სახატო სიგელი გადასცა ამხ. ტ. გაფრინდაშვილს. დამწყებმა პოეტმა გ. წერეთელმა წაიკითხა იუბილარისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი.

დასასრულს ტ. გაფრინდაშვილის მონაწილეობით გაიმართა მხატვრული განყოფილება.

ᲢᲐᲜᲙᲔᲠ „ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ“ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲘᲡᲘ

ბათუმი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ბათუმის ნავსადგურში მოვიდა ახალი ტანკერი „მოსკოვის ფესტივალი“. ეს გემი ჩვენი ქვეყნის გემთმშენებელი ახალგაზრდობის ძვირფასი საჩუქარია მოსკოვის VI მსოფლიო ფესტივალისადმი. იგი სულ რამდენიმე დღის წინათ ვადაზე ორი თვით ადრე ჩაუშვა წყალში ხერსონის გემთმშენებელმა ქარხანამ. აღსანიშნავია, რომ ამ უზარმაზარი და თანამედროვე რთული ტექნიკით აღჭურვილი გემის გაძღოლა და მართვა კომკავშირულ-ახალგაზრდულ ეკიპაჟს მიანდეს. ტანკერმა თავისი პირველი რეისი მიუძღვნა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეექვსე მსოფლიო ფესტივალს. ამას წინათ ბათუმის ნავსადგურის რეიდზე საზეიმო ვითარებაში მოეწყო გემის მიღება-ჩაბარება. კომისიამ დაადასტურა ტანკერის ყველა კვანძისა და მანქანა-მოწყობილობათა მაღალხარისხოვანი გამართული მუშაობა, მისი საუკეთესო სანაოსნო თვისებები.

ბათუმელმა მენავთობეებმა, რომლებსაც წილად ხვდათ ფესტივალის სახელობის გემის პირველად მიღება და დატვირთვა, უმაგალითო შრომითი ენთუზიაზმი გამოიჩინეს და ვადაზე ბევრად ადრე დაამუშავეს გემი. ბრიგადა, რომელსაც გამოცდილი მენავთობე გ. ჩერედნიჩენკო ხელმძღვანელობს, შეწყობილად და გამართულად მუშაობდა. გემის ჩქაროსნულ დატვირთვაში თავი გამოიჩინეს უფროსმა ოპერატორმა ტ. ჩხაიძემ, მუშებმა ვ. ფირცხალავამ და ა. ზაქარიანმა.



სურათზე: ახალი ტანკერი „მოსკოვის ფესტივალი“ ბათუმის ნავსადგურში.

ᲡᲘᲪᲮᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

საქართველოში სიცხეები დადგა. საქდესის კორესპონდენტმა სთხოვა საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს უფროსის მოადგილეს ამხ. გ. გერსამიას განემარტა, თუ რამ გამოიწვია ასეთი მაღალი ტემპერატურა.

— ზაფხულის პირველ ნახევარში ჩვენი რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, — თქვა მან, — ამ დროისათვის ჩვეულებრივი ამინდი იყო, მაგრამ 28 ივლისიდან ჩვენში დამყარდა გადიდებული დაწნევის არე—ანტიციკლონი. მან ხელსაყრელი პირობები შექმნა ჰაერის მასის ძლიერი გაცხელებისათვის დღისით. ჰაერის ტემპერატურა ერთბაშად გადიდდა საშუალოდ ხუთი გრადუსით. სიცხე კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა არაბეთის უდაბნოდან ერაყითა და ირანით აქ შემოაღწია მშრალი ტროპიკული ჰაერის კიდევ უფრო გახურებულმა მასებმა. ტემპერატურამ რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე აიწია 36-38 გრადუსამდე. აგვისტოს პირველ რიცხვებში შავი ზღვის მხრიდან წამოვიდა შედარებით უფრო ცივი ჰაერი, მაგრამ ამან მეტად უმნიშვნელოდ დასწია ტემპერატურა, შემდეგ კვლავ სიცხეები დაიჭირა.

ყველაზე მაღალი ტემპერატურა 5 აგვისტოს იყო. ამ დღეს 41 გრადუსი აღინიშნა გარდაბნის რაიონში. ასეთი სიცხე საქართველოში აღნიშნული იყო მხოლოდ 1913 წელს. თბილისში ამ დღეს ვერცხლისწყალი 40,3 გრადუსზე ავიდა. მზეზე ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურამ 65,6 გრადუსს მიაღწია. თბილისის მეტეოროლოგიურ სადგურს ჯერ არასოდეს არ აღუნიშნავს ასეთი მაღალი ტემპერატურა, ეს სადგური კი უკვე 113 წელია არსებობს.

მოსალოდნელია თუ არა სიცხის დაწევა? დიახ, თბილისის ამინდის ბიუროს ცნობებით უახლოეს დღეებში დაიწყება ტემპერატურის უმნიშვნელო დაწევა. მოვა ხანმოკლე წვიმები.

(საქდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲨᲘ ᲬᲔᲡᲠᲘ�გᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲓᲔᲡ

სერიოზული ნაკლოვანებები აქვს მუშაობაში ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილებას (უფროსი ტ. კორძაია).

განყოფილების სავაჭრო ქსელში ხშირად ირღვევა საბჭოთა ვაჭრობის წესები, ხშირია ფასების დამახინჯება, ზომა-წონაში მომხმარებელთა მოტყუების, სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-დატაცების შემთხვევები.

მუშათა მომარაგების განყოფილების № 7 სასადილოში (გამგე გ. გელაშვილი) 13 ივნისს მებუფეტე ა. გოგია ელოგრამ კიტრს დაწესებულ ფასზე ოთხი მანეთით მეტად ყიდდა.

№ 3 სასადილოში (გამგე ა. ნოდია), რომელიც მეორე შახტის კოლექტივს ემსახურება, არ ჰყოფნით ჭურჭელი და სხვა ინვენტარი. საჩივრის წიგნში ნახავთ ჩანაწერებს, სადაც მომხმარებლები აღნიშნავენ სასადილო ინვენტარისა და ჭურჭლის სიმცირეს, კერძების დაბალ ხარისხს. მაგრამ სასადილოს ხელმძღვანელობას მდგომარეობის გამოსასწორებლად ჯერჯერობით არავითარი ზომები არ მიუღია.

მეოთხე შახტის ტერიტორიაზე არსებულ № 21 მაღაზიაში (გამგე-გამყიდველი გ. მევლუფიშვილი) შემოწმების დღეს გასაყიდად გამოტანილი იყო 1,5 კილოგრამი ყველი („ჰოლანდიური“), რომელიც ობმოკიდებული, ფუვარგისი იყო. მაღაზიაში არ აღმოჩნდა პირველი მოხმარების ისეთი საჭმელი, როგორიც არის ჩაი, ძეხვეულის ნაწარმი, თევზეული და სხვ. ეს მაშინ, როდესაც აღნიშნული სახეობის საქონელი განყოფილების საწყობებში საკმარისად აქვთ.

ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა მომარაგების განყოფილებას ტყვარჩელის ერთ უბანში აქვს შერეული მაღაზია (გამგე კ. ქვაჩახია, გამყიდველი ჭურღულია). აქ ამას წინათ 2,5 ტონა კარტოფილი გაყიდეს — კილოგრამი 1 მანეთად და 50 კაპიკად ნაცვლად 1 მანეთისა და 10 კაპიკისა, რამაც მომხმარებელთა სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია. ანალოგიური ფაქტები აქ ხშირია, რაც კარგად არის ცნობილი რკინიგზის მუშათა მომარაგების სოხუმის განყოფილების ხელმძღვანელობისათვის (უფროსი გ. ხაბაძე), მაგრამ ჯერჯერობით დამნაშავეთა წინააღმდეგ არავითარ ზომებს არ მიმართავენ.

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილების ობიექტებში დგას 45 მაცივარი, მაგრამ ამათგან ნახევარზე მეტი არ მუშაობს. ამის შედეგად საზოგადოებრივი კვების ობიექტების მუშაკები აკლებული არიან შესაძლებლობას ნორმალურად მოემსახურონ მომხმარებლებს.

მიუხედავად არსებული წესებისა, ტყვარჩელში მოწესრიგებული არ არის კვების ობიექტებში დამზადებული ნერძების სათანადო შემოწმების საქმე, რის შედეგადაც ხშირია მომხმარებელთა საჩივრები. უბარისხო კერძების დამზადებას განსაკუთრებით ხშირად აქვს ადგილი № 3, № 6, № 7 სასადილოებში.

ყოველდღიურად იზრდება ტყვარჩელის მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დონე და ამასთან ერთად საგრძნობლად მატულობს კულტსაქონლისადმი მოთხოვნილებაც. მიუხედავად ამისა, მუშათა მომარაგების განყოფილების მუშაკები არ სწავლობენ მომხმარებელთა მოთხოვნილებას, საკმაო რაოდენობით არ შემოაქვთ თუნდაც მინიმალური ასორტიმენტის კულტსაქონელი. მაღაზიებში სრულებით ვერ ნახავთ ვერც ერთი სახის ფოტოსაქონელს, თითქმის არ მოიპოვება მუსიკალური ხელსაწყოები, ბავშვთა სათამაშოები და სხვ.

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილება, მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ადგილობრივი ორგანოები სუსტად იბრძვიან გაფლანგვა-დატაცების აღსაკვეთად. როგორც შარშან, ისე წელს სახელმწიფოებრივი ქონების გაფლანგვა-დატაცების მრავალი შემთხვევა იყო, მაგრამ დამნაშავეთა უმრავლესობა დღესაც დაუსჯელია.

მაგალითად, № 16 მაღაზიის გამგეს კ. აპაზიდის იანვარში 103.800 მანეთის დანაკლისი აღმოუჩინეს. იმის გამო, რომ მუშათა მომარაგების განყოფილების ხელმძღვანელობამ, მილიციის ტყვარჩელის განყოფილებამ, პროკურატურამ დროულად არ მიიღეს სათანადო ზომები, ბოროტმოქმედი კ. აპაზიდი მიიმალა და დღესაც არა ჩანს. მუშათა მომარაგების განყოფილების სამკერვალო სახელოსნოს გამგეს ვ. დავთიანს მარტში აღმოუჩინეს 61.589 მანეთის დანაკლისი. ისარგებლა რა მილიციისა და პროკურატურის ორგანოების მუშაკთა „სულგრძელობით“, ვ. დავთიანიც მიიმალა. სახელმწიფო ქონების გაფლანგვისა და დამტაცებლებისადმი ლიბერალურ დამოკიდებულებას ადასტურებს აგრეთვე ასეთი ფაქტიც: № 1 მაღაზიის სექციის გამგემ მ. ბოგატირიოვამ 17.941 მანეთი გაფლანგა. ის დაუპატიმრეს, პასუხისგებაში მისცეს, მაგრამ სასამართლომ რატომღაც მეტად მცირე სასჯელი მიუსაჯა. ხოლო მის მიერ გაფლანგული თანხა დღესაც აუნაზღაურებელია.

ტყვარჩელის სავაჭრო ორგანიზაციებს მუშაობაში სერიოზული დარღვევები და ნაკლოვანებანი უწინარეს ყოვლისა იმის შედეგია, რომ მუშათა მომარაგების განყოფილებაში უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან სავაჭრო ქსელის განმტკიცებას საქმისმცოდნე კადრებით, პატიოსანი ადამიანებით, სათანადო კონტროლს არ უწევენ სავაჭრო ობიექტების მუშაობას.

ტყვარჩელის საქალაქო პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან გადამწყვეტი ზომები მიიღონ სავაჭრო ქსელში ჯეროვანი წესრიგის დასამყარებლად.

რეიდის მონაწილენი:

ლ. გაგუნია,
აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს სამრეწველო და სასურსათო საქონლის განყოფილების უფროსის მოადგილე,

ვ. ჯლარკავა,
გაზეთ „ტყვარჩელის მაღაროელის“ მუშაკი,

ი. გოგბეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მოსკოვში, VI მსოფლიო ფესტივალზე

ახალგაზრდობის მანიფესტაცია და მიტინგი მშვიდობისა და მეგობრობისათვის

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის მეათე დღე აღინიშნა ახალგაზრდობის გრანდიოზული მანიფესტაციით. ამ დღეს თორმეტი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ამერიკის ავიაციამ იაპონიის ქალაქ ხიროსიმაში ჩამოაგდო პირველი ატომური ბომბი, რომელმაც უდიდესი მსხვერპლი და კოლოსალური ნგრევა გამოიწვია.

მოსკოვის ქალიშვილები და ჭაბუკები გამოვიდნენ ქალაქის ქუჩებში, რათა განეცხადებინათ პროტესტი ატომგულის იარაღის გამოცდის წინააღმდეგ, მოეთხოვათ მისი წარმრობის შეწყვეტა. მანიფესტაციის მონაწილეთა კოლონების თავზე მიჰქონდა პლაკატები, რომლებიც მოუწოდებენ მშვიდობისაკენ, პროტესტს აცხადებენ ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ. პლაკატებზე წარწერილია: „მშვიდობა მილიონების ნებაა!“, „ხიროსიმა არ უნდა გამეორდეს!“, „ომის ძალებმა უკან უნდა დაიხიონ!“, „მშვიდობა მსოფლიოს!“, „აიკრძალოს ატომური იარაღი!“. ახალგაზრდობა მღეროდა, სიმღერებს, რომლებიც მშვიდობისა და მეგობრობისაკენ მოუწოდებენ.

ასეულ ათასობით მშრომელი იდგა ტროტუარებზე და მხურვალედ მიესალმებოდა მშვიდობისათვის ახალგაზრდა მებრძოლთ. მჭუხარე ტაშით, შეძახილებით ისინი იწონებდნენ საბჭოთა ახალგაზრდა ადამიანების მშვიდობიან მისწრაფებებს.

ახალგაზრდობის კოლონები დაიძრნენ მანეჟის მოედნისაკენ. წინ მიჰქონდათ ჩირაღდნები. მსვლელობა გრანდიოზული, ზეიმური იყო. იგი აღაფრთოვანებდა ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, სიცოცხლე, ვისაც ბედნიერება სურს თავისი შვილებისათვის.

მანიფესტანტები შევიდნენ მანეჟის მოედანზე. ესტრადის გარშემოა უცხოელი და საბჭოთა მხატვრების ომისსაწინააღმდეგო პლაკატების დიდი ფოტოგრაბირებული. ფრიალებენ ალმები. მთელი მოედანი თანდათან გაიჟღდა ქალიშვილებით და ჭაბუკებით. მწკრივებში გაისმის სიმღერა „იფრინეთ მტრედებო, იფრინეთ“, რომელსაც ორკესტრი და მომღერალთა გუნდი ასრულებენ. მეჩირაღდნენები ადიან ესტრადის საფეხურებზე. პატარა გოგონა თეთრ ყვავილებს აწყობს „ხიროსიმას ქვაზე“. იგი ანთებს ჩირაღდანს, რომლის ალი მოედნის ყოველი კუთხიდან მოჩანს. მძლავრად, ზეიმურად ძღერს ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონია.

დამსწრეთა უყურადღებას იპყრობს იაპონელი ქალიშვილი, რომელიც ეს-ეს არის გამოვიდა ესტრადაზე. ეს არის ფესტივალის დელეგატი— ხისაკო ნაგატა. იგი მიდის მიკროფონთან და ამბობს სიტყვას, რომელშიც დამსწრეთ მოუთხრობს ხიროსიმასა და ნაგასაკის მსხვერპლთა შესახებ, მოუწოდებს მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობას იბრძოლოს წყალბადის და ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვისათვის. თავის სიტყვას ხისაკო ნაგატა ამთავრებს ასე: „დედამიწაზე უნდა გაიმარჯვოს მშვიდობამ! კაცობრიობა უნდა ჰყვაოდეს!“.

მიტინგის ათასობით მონაწილე ტაშს უკრავს, გამოხატავს რა თავის სრულ სოლიდარობას იაპონიის ახალგაზრდა წარმომადგენლისადმი.

სცენაზე ადის საბჭოთა კავშირის გმირის ზოია კოსმოდემიანსკაიას დედა ლიუბოვ ტიმოთეს ასული კოსმოდემიანსკაია. გულთბილად, დედასავით მოეხვია იგი ქალიშვილს და აჩუქა მას თავსაფარი.

იაპონიის დელეგატს შემოაქვს წინადადება ერთი წუთის დუმილით პატივი სცენ პირველი ატომური ბომბისაგან დაღუპულთა ხსოვნას.

ჩამოვარდა ერთი წუთის დუმილი. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ახალგაზრდა ადამიანები, საბჭოთა ახალგაზრდები ხრიან თავს იაპონიის ქალაქ ხიროსიმას მეხოვრებთა ხსოვნის აღსანიშნავად, რომლებიც ატომური დაბომბვის დროს დაიღუპნენ.

მიტინგზე დიდი ყურადღებით მოისმინეს საბჭოთა ახალგაზრდობის წარმომადგენლის საბჭოთა კავშირის გმირის ალექსი მარესიევის სიტყვა.

— ჩვენ ყველანი აქ მოვედით ხალხთა მეგობრობისა და მშვიდობის შესახებ ერთი აზრით გამსჭვალულნი, — განაცხადა მარესიევმა. — როგორც ადამიანს, რომელმაც გადაიტანა ომის მთელი სიმძიმე და შესწევს უნარი დაიფასოს სიკეთე, რომელსაც მშვიდობიანი ცხოვრება იძლევა, მე მინდა ვთქვა: ისინი, ვინც ცდილობს ახალი, კიდევ უფრო საშინელი ომის თესლი დათესოს, ისინი, ვინც იმუქრება ატომური ბომბით, სიძულვილსა და გულისწყრომას იწვევენ მსოფლიოს ყველა პატიოსან ადამიანთა შორის.

მე ღრმად მწამს, — განაგრძო ა. მარესიევმა, — ახალგაზრდა თაობის მხურვალე მისწრაფება მშვიდობისადმი. საბჭოთა ქვეყნის მილიონობით ახალგაზრდა ადამიანის სახელით, რომლებიც აღზრდილი არიან ყველა ქვეყნის ხალხთა პატივისცემისა და მეგობრობის სულისკვეთებით, მე ვამბობ: საბჭოთა ახალგაზრდობა იდგა, დგას და კვლავაც მტკიცედ დარჩება მშვიდობის საგუშაგოზე!

დაე მთელი დედამიწის ახალგაზრდობა მტკიცედ იყოს დარწმუნებული, რომ საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდა თაობა მისი ერთგული მეგობარია მშვიდობისა და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში! დაე განმტკიცდეს მსოფლიოს ყველა ახალგაზრდა ადამიანის ერთიანობა მშვიდობისა და მეგობრობისათვის დედამიწაზე!

ტრიბუნაზეა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვიცე-თავმჯდომარე ჯეიმს ენდიკოტი. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სახელით იგი სალამს უძღვნის VI მსოფლიო ფესტივალს და მიტინგის მონაწილეებს.

ჩვენ ვერ მივაღწევთ მშვიდობას, თქვა ჯეიმს ენდიკოტმა, და ვერ ავიცილებთ თავიდან ახალ ხიროსიმას თუ არ იქნა ორგანიზებული მასობრივი მოძრაობა და ბრძოლა ძალლონის დაუზოგავად. ამიტომ ჩვენ მივმართავთ ყველა ხალხს და მოვუწოდებთ გამოვიდნენ და მოითხოვონ ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტა, ამ იარაღის მოსპობა და მშვიდობის დაცვა განიარაღების გზით.

დასასრულ ჯეიმს ენდიკოტმა განაცხადა:

— ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ახალგაზრდობა, რომელმაც განიცადა სიხარული და მეგობრობა ამ ფესტივალზე, ამ მოწოდებას გაიცნობს ყველა ადამიანს დედამიწაზე.

ინგლისისა და ინდოეთის ახალგაზრდობის წარმომადგენლებმაც, რომლებიც თავიანთი ქვეყნების ქალიშვილთა და ჭაბუკთა სახელით გამოვიდნენ მიტინგზე, პროტესტი განაცხადეს ატომგულის იარაღის გამოცდის წინააღმდეგ; მათ აღნიშნეს, რომ იბრძოლებენ მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის.

მიტინგის მონაწილენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ფესტივალზე იაპონიის დელეგაციის ხელმძღვანელს სანო სუსუმუს, იაპონიის ქალიშვილთა და ჭაბუკთა დიდ ჯგუფს. სანო სუსუმუმ წაიკითხა იაპონიის დელეგაციის მიმართვა, რომელიც მოუწოდებს მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობასა და სტუდენტებს განამტკიცონ ურთიერთმეგობრობა და ურთიერთგაგება, იმოქმედონ ომის წინააღმდეგ, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის!

მანეჟის მოედანზე და მის ფარგლებს გარეთ რადიოთი გაისმის იაპონელი ახალგაზრდობის სიმღერა „არ დავუშვებთ ატომურ ბომბს!“

მიტინგის დასასრულს პატარა რუსმა გოგონამ ააფრინა თეთრი მტრედი. მტრედი ზეგით აფრინდა და მაშინვე ორკესტრმა დაუკრა მეგობრობისა და მშვიდობის სიმღერა — დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნი.

მანიფესტაცია და მიტინგი იყო მძლავრი დემონსტრაცია ახალგაზრდობის მშვიდობიანი მისწრაფებებისა, მისი სურვილისა რადაც უნდა დაუჯდეს თავიდან აიცილოს ატომური ომის საფრთხე. (საკდესი).

სურათზე: აღმოსავლეთის კლასიკური ცეკვების, ხალხური ცეკვებისა და თანამედროვე საბალო ცეკვების შემსრულებელთა საერთაშორისო სამხატვრო კონკურსი. **სურათზე:** კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში შესვენების დროს პრაღის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მოცეკვავე ლ. ლეშკოვოვა სამახსოვრო საჩუქარს უძღვნის ცეკვის ეროვნული ანსამბლის მოცეკვავეს ნ. მ. ამარავატხის. მარჯვნივ — იმავე ანსამბლის მონაწილე ნ. მ. ხომადასა.

ფოტო ნ. რახმანოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲓᲐᲙᲐᲠᲐᲙᲝᲑᲔᲜ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲡᲒᲣᲛᲠᲔᲑᲘ

ᲐᲠᲜᲝᲚᲓᲝ ᲑᲐᲠᲐᲩᲘᲢᲘ,
იტალიის დელეგაციის წევრი.

— ჩვენი დელეგაცია VI მსოფლიო ფესტივალზე მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენელია. მისი წევრები აღიარებენ სულ სხვადასხვა რელიგიურ შეხედულებებს. მაგრამ ჩვენ ყველას გვაერთიანებს ბრძოლა მშვიდობისა და მეგობრობისათვის, ბედნიერებისა და პროგრესისათვის.

ფესტივალის ქალაქში ჩვენ საშუალება მოგვეცა დავრწმუნებულიყავით, რომ საბჭოთა ახალგაზრდობას აქვს შრომის, სწავლისა და დასვენების უფლება, რომ იგი რწმენით შესცქერის თავის ხვალინდელ დღეს, თავის მომავალს. ეს უფლებები მიუწვდომელია ჩვენი ახალგაზრდობისათვის. იტალიაში ორ მილიონამდე უმუშევარია. მათ შორის ბევრია ქალიშვილი და ჭაბუკი. სახსრების უქონლობის გამო ყველას როდი შეუძლია შევიდეს უმაღლეს სკოლაში ან მიიღოს სასურველი სპეციალობა, ამასთან ქალებსა და მამაკაცებს ერთნაირი პირობები როდი აქვთ.

ჩვენ ვიცით, რომ მედგარი ბრძოლისა და გულმოდგინე შრომის შედეგად თქვენი ქვეყანა გახადეთ ისეთ ქვეყნად, რომელსაც ნათელი მომავალი აქვს. იტალიის ახალგაზრდობაც იბრძვის იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანაში გაიმარჯვოს სამართლიანობამ, რომ ჩვენს ხალხსაც ჰქონდეს მშვენიერი მომავალი.

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲜᲘᲙᲝᲚᲔᲕᲘ,
ბულგარელი სტუდენტი.

— მე ვიყავი ვარშავის ფესტივალზე. კარგი დღესასწაული იყო, მაგრამ მოსკოვის ფესტივალი კიდევ უფრო მომეწონა. ჩვენ ატაცებული ვართ მოსკოველთა გულითადობით და სტუმართმოყვარეობით.

თქვენ გვეკითხებით: „რა მოგვეწონა ყველაზე უფრო თქვენთან?“ ამ კითხვაზე ძნელია პასუხის გაცემა. ჩვენ მოგვეწონა თქვენი ქარხნებიც, თქვენი ქალაქიც, თქვენი ადამიანებიც, ესოდენ გულთადი და თავაზიანი. ჩვენ გვეჩვენებოდა, რომ თქვენ ყველას დიდიხანია გიცნობთ — იმდენად თბილი იყო თქვენი ღიმილი და სიტყვები. ჩვენ ბევრი რამ შეგვიძლია ვუამბოთ ჩვენს მეგობრებს სამშობლოში. (საკდესი).

III ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲐ

მოსკოვი, 6 აგვისტო. III საერთაშორისო მეგობრული სპორტული ასპარეზობა დასასრულს უახლოვდება.

კალათბურთელ ვაჟთა და ქალთა გუნდების ფინალურ შეჯიბრებას მრავალი მაყურებელი ესწრება. ჩეხოსლოვაკიისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალთა გუნდების ასპარეზობის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ, ხოლო დამატებითს დროში ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელებმა შეძლეს მატჩის მოგება ჭნგარიშით 60:57. სსრ კავშირისა და ბულგარეთის გუნდების შეჯიბრებაში გამარჯვებულები გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები. ანგარიშია 66:55. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდმა დაამარცხა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის კალათბურთელები 58:54.

გიმნასტიკის მორიგი მეოთხედფინალური მატჩები ფეხბურთში. უნგრელებმა მოუგეს სუდანის გუნდს 2:1. ასეთივე ანგარიშით გერმანელებმა დაამარცხეს ალბანელი ფეხბურთელები. ამრიგად, ნახევარფინალში გავიდნენ სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდები. დღეს საღამოს შედგება პირველი ნახევარფინალური ასპარეზობა. ხვალ გაიმართება მეორე მატჩი.

გრძელდება შეჯიბრება ცურვაში. 100 მეტრზე ზურგით ცურვაში ქალთა შორის საბჭოთა და რუმინელმა სპორტსმენებმა კამაევმა და ბოტმა აჩვენეს თანაბარი დრო — 1 წუთი და 15,4 წამი, რაც ასპარეზობის ახალი რეკორდია. ოქროს მედალი მოიპოვა ბოტმა. დიდი წარმატება ხვდა საბჭოთა ახალგაზრდა სპორტსმენ ქალს პოზნიაკს, რომელმაც 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში პირველი ადგილი დაიკავა.

დამთავრდა შეჯიბრება ტრამპლინიდან წყალში ხტომაში ქალთათვის. აქ უძლიერესი იყო საბჭოთა სპორტსმენი კრუტოვა, რომელმაც 128,55 ქულა შეაგროვა.

ხელბურთელთა შეჯიბრებაში წარმატებით იბრძვიან რუმინეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდები, რომლებსაც ჯერ არც ერთი დამარცხება არ განუცდიათ. სსრ კავშირის გუნდმა დღეს წააგო მესამე შეხვედრა ჩეხოსლოვაკიელ სპორტსმენებთან.

სპორტის მრავალი მოყვარული ესწრება შეჯიბრებას თავისუფალ ჭიდაობაში. გარდა გობეჯიშვილის და მკედლიშვილისა საბჭოთა კავშირის ნაკრებში საქართველოდან შედის არსენიანი. სპორტსმენებმა წონების მიხედვით გაიარეს ორი ტური. მკედლიშვილი პირველ დღეს თავისუფალი იყო. მეორე დღეს მან სუფთა გამარჯვება მოიპოვა. გობეჯიშვილსა და არსენიანს ორი ტურის შემდეგ ორ-ორი გამარჯვება აქვთ. აქედან თითო სუფთა მოგება.

დღეს დაიწყო შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში. სსრ კავშირის ვაჟთა გუნდმა ორ იარაღზე ვარჯიშის შემდეგ შეაგროვა 114,5 ქულა. იაპონიის გუნდმა 111,05 ქულა. პირად შეჯიბრებაში წინ მიდიან ტიტოვი (19,45 ქულა), შახლინი (19,3 ქულა). მესამე ადგილზეა იაპონელი სპორტსმენი ტაკაში ონო (19,2 ქულა).

შეჯიბრებაზე წარმატებით გამოვიდნენ გუშინ საბჭოთა ნიჩბოსნები და ველოსიპედისტები, რომლებმაც ოქროს მედლები მოიპოვეს.

ვ. ᲒᲐᲒᲔᲚᲘᲐ,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ-ᲥᲐᲚᲗᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲓᲝᲠᲘ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

საბჭოთა ქალების კომიტეტმა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ქალთა ყველა ორგანიზაციას, ყველა ქალს მიმართა მოწოდებით აქტიური ბრძოლა გაეჩაღონ ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ, თერმატომგულის იარაღის აკრძალვისათვის, ბომბის გამოცდის შეწყვეტისათვის. მიმართვაში ნათქვამია, რომ აღარ შეიძლება დაყოვნება, ატომგულის იარაღის აკრძალვა დამოკიდებულია სამ დიდ სახელმწიფოზე — ამერიკის შეერთებულ შტატებზე, ინგლისსა და სსრ კავშირზე, რომლებსაც ეს იარაღი აქვთ და ატომურ პერმანენტულ აფეთქებებს აწარმოებენ.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი მტკიცედ დგას სხვადასხვა პოლიტიკური სისტემის ხელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოზიციაზე, საყოველთაო განიარაღების, ატომგულის და წყალბადის ბომბების აკრძალვის, მათი გამოცდის შეწყვეტის პოზიციაზე. შეთანხმებული გადაწყვეტილების მისაღწევად საბჭოთა მთავრობამ ა. წ. 14 ივნისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტში შეიტანა ახალი წინადადება. დროებით, თუნდაც ორი-სამი წლით, შეწყვიტეს ატომგულის იარაღის გამოცდა და დაწესდეს საერთაშორისო კონტროლი, რაც პირველი ბიჯი იქნება მისი გამოყენების აკრძალვისა და წარმოების შეწყვეტისა და სახელმწიფოთა იარაღებიდან მისი ამოღების საქმეში. მიმართვაში აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლებმა არ დაუჭირეს მხარი საბჭოთა წინადადებებს.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ქალებო, დედებო, ჩვენ მოგმართავთ ბილიონობით საბჭოთა ქალის სახელით, ნათქვამია მიმართვაში. დაე ჩვენ გვქონდეს სხვადასხვა პოლიტიკური რწმენა, ცხოვრების სხვადასხვა წესი. ყველა ჩვენი უთანხმოება იჩინება იმ საფრთხის წინაშე, რომელიც გვემუქრება ყველას, ემუქრება ჩვენს ოჯახებს, ჩვენს შვილებს.

ჩვენ ყველანი დედები ვართ და ყველანი გვსურს მშვიდობიანი, ბედნიერი ცხოვრება ჩვენი შვილებისათვის. ჩვენ ყველას გვსურს მშვიდობა და კეთილდღეობა ჩვენი ოჯახებისათვის. ყოველი ჩვენგანი მზად არის ყოველგვარი სამართო საქმისათვის, რათა დაიცვას თავისი ბავშვი მოსალოდნელი საფრთხისაგან, იხსნას საკვდილის ულმობელი კლანჭებისაგან.

მთელი დედამიწის ბავშვთა აწმყოსა და მომავლისათვის მოგიწოდებთ თქვენ, ამერიკელებო და ინგლისელო დებო, ყველაფერი გააკეთოთ, რაც შესაძლებელია, რათა თქვენმა მთავრობამ ყური დაუგდონ ხალხების ხმას, მთელი მსოფლიოს დედების ხმას, გონიერების ხმას, სიყვარულის ხმას. გამოიყენეთ მთელი თქვენი ძალები, მთელი თქვენი გავლენა იმისათვის, რომ დაიდოს შეთანხმება თერმოატომგულის იარაღის გამოცდის ხანგრძლივი ვადით შეწყვეტის შესახებ, რათა შემდეგ ვიბრძოლოთ ამისი სრული აკრძალვისათვის.

მოვიხადოთ ჩვენი დიდი დედობრივი ვალი, დავიცვათ ჩვენი შვილები ბომბანადგურებისა ატომური ომის საფრთხისაგან!

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ „Ბ“ ᲙᲚᲐᲡᲘ

გრძელდება შეჯიბრება სსრ კავშირის ბოლოველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის გუნდებს შორის. მორიგი შეხვედრები გაიმართა 6 აგვისტოს, სვერდლოვსკსა და ბაქოში. სვერდლოვსკში თამაშობდნენ ადგილობრივი და თბილისელ ქალ სპორტული კლუბების გუნდები. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს სვერდლოვსკელებმა. ბაქოში თამაშობდნენ ადგილობრივი „ნეფტჩინკისა“ და ერევნის „სპარტაკი“. გიმარჯვეს მასპინძლებმა ანგარიშით 2:1.

ᲠᲔᲥᲚᲘᲛᲘᲜᲘᲡᲔᲑᲘ

8 აგვისტოს საღამოს 8 საათზე საქართველოს კპ თბილისის კომიტეტთან არსებული ლ. კოტეტოვის ხალხური სახელობის პოლიტიკური განათლების სახლის სალექციო დარბაზში (ლენინის ქუჩა, 35) შედგება ლექცია თემაზე: **პარტიის VI ყრილობა და მისი ისტორიული მნიშვნელობა.** ლექტორი დოცენტი შ. ცაგარეიშვილი.

* * *

8 აგვისტოს საღამოს 8 საათზე საქართველოს კპ თბილისის კომიტეტთან არსებული ლ. კოტეტოვის ხალხური სახელობის პოლიტიკური განათლების სახლის სალექციო დარბაზში ლენინის ქ. № 3 საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილება აწყობს საზოგადოების წევრის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის შ. კურდღელაშვილის სალექციას თემაზე: **„მდგომარეობა შუა და ახლო აღმოსავლეთში“.**

რედაქტორი ბ. ᲨᲘᲠᲪᲮᲐᲚᲐᲕᲐ.

სურათზე: პოლონეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის „შლეონსკის“ მოცეკვავეთა ჯგუფის გამოსვლა პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში.

ფოტო ლ. პორტერისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲗᲐ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ფესტივალის გუშინდელი, მეცხრე დღე მთელი მსოფლიოს ქალიშვილებს მიეძღვნა. ნიუაადრიან სასტუმროებთან, სადაც დელეგატი ქალები ცხოვრობენ, გამოჩნდნენ ჭაბუკთა ჯგუფები, რომლებსაც თაიგულები მოეტანათ. ისინი მოვიდნენ, რათა დღესასწაული მიულოცონ თავიანთ მეგობრებს. ფესტივალის ქალაქში მოვიდნენ მოსკოვის ახალგაზრდობის წარმომადგენლები, რომლებმაც ახალგაზრდობის დღესასწაულის მონაწილენი მიიწვიეს ფაბრიკებსა და ქარხნებში, ინსტიტუტებში.

კომბინატ „ტროიხგორნაია მანუფაქტურის“ ახალგაზრდა ფეიქრებმა მიიღეს ძვირფასი სტუმრები საფრანგეთიდან. ფრანგი ქალიშვილები ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს ჩითის, სატინის, მუარის ქსოვის პროცესს. ქარხნის დათვალიერების შემდეგ სტუმრებმა კომბინატის კლუბში დაისვენეს. აქ ისმოდა მუსიკა, ცეკვავდნენ წყვილები.

მოსკოვის ყველა კუთხეში და მოსკოვის ოლქში იყვნენ ამ დღეს ფესტივალის დელეგატი ქალები. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოსულ სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ ბაბაევის სახელობის საკონდიტრო ფაბრიკაში. უნგრეთისა და იტალიის წარმომადგენლებს, რომლებიც მოსკოვის № 155 ბაგას ესტუმრნენ, ბევრი სათამაშო აჩუქეს სახლში. ფინელი დელეგატები გაემგზავრნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ზვენიგოროდის პიონერთა ბანაკში. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კონფერენც-დარბაზში, რომელიც 5 აგვისტოს ელექტროტექნიკური და ენერგეტიკული მრეწველობის ახალგაზრდა მუშათა განკარგულებაში იყო, შეიკრიბნენ 25 ქვეყნის წარმომადგენლები. შეხვედრა გახსნა ინდოეთის წარმომადგენელმა შაროდ მიტრომ.

ჩეხოსლოვაკიის დელეგატმა იოსეფ პოგოგაჩმა განაცხადა, რომ ჩეხოსლოვაკიაში იქმნება პირობები, რათა იგი 1960 წლისათვის დაეწიოს ევროპის ყველაზე მოწინავე სახელმწიფოებს ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის წარმოებაში. იტალიის წარმომადგენელმა რეგამონტი ამლეტომ აღნიშნა, რომ ელექტროენერგიის წარმოება მის სამშობლოში ერთი მუჭა მონოპოლისტების ხელშია. ელექტროენერგიას საკვიროზე ნაკლებს აწარმოებენ. ელექტროენერგიის ფასი მეტად დიდია, მაშინ როცა თვითღირებულება მცირეა. ამის შედეგად კაპიტალისტები უდიდეს მოგებას იღებენ, მუშათა ხელფასი კი მცირეა.

დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ჰუნერ სტერმა (ნორვეგია), როლფ სიურბემ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), ვ. სემიონოვმა (სსრ კავშირი), ჰენრიჰ შლეზაკმა (ავსტრია). დედაქალაქის ახალგაზრდა ენერგეტიკოსთა სახელით შეხვედრის მონაწილეებს გულითადად მიესალმა ლ. ნოვიცკი. მან მიიწვია უცხოელი სტუმრები დათვალიერონ დედაქალაქის ელექტროტექნიკური ქარხნები და ელექტროსადგურები, რათა თავიანთი თვალით ნახონ, თუ რა პირობებში მუშაობენ, ცხოვრობენ და ისვენებენ ახალგაზრდა მოსკოველები.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

პრეზიდიუმის მაგიდაზეა ევროპის ქვეყნების პატარა ალმები. ტრიბუნიდან მოისმის ხან იტალიური, ხან ფრანგული, ხან პოლონური ლაპარაკი. განიხილავენ საკითხებს, რომლებიც აღელვებენ ევროპის ქალიშვილებსა და ჭაბუკებს. ამ შეხვედრის მოწყობის ინიციატივა, რომელიც 5 აგვისტოს მოსკოვის მეცნიერთა სახლში მომდინარეობდა, ახალგაზრდა იტალიელებსა და ფრანგებს ეკუთვნით. წარმოთქვამენ რა სიტყვებს, ახალგაზრდათა ორგანიზაციების წარმომადგენლები სხვადასხვანაირად აფასებენ ევროპაში შექმნილ მდგომარეობას. მაგრამ ისინი ყველანი მზად არიან შეიტანონ წვლილი მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

იტალიის ახალგაზრდობის სოციალისტური ფედერაციის მდივანი ემო ეგოლი ამბობს, რომ ახალგაზრდათა ორგანიზაციებს შეუძლიათ ბევრ რამეში შეუწყონ ხელი ევროპაში ვითარების გაუმჯობესებას.

— ჩვენს ამ რწმენას, — ამბობს იგი, — განმტკიცებს წარმატება მოსკოვის ფესტივალისა, რომელზეც სუფევს მეგობრობის, ურთიერთგაგებისა და მშვიდობისადმი მისწრაფების ატმოსფერო.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა კარლ ნამოკელმა განაცხადა, რომ გერმანელ ახალგაზრდობას არასოდეს არ შეუწყვეტია და არ შეწყვეტს გერმანიის გაერთიანებისათვის ბრძოლას. შემდეგ გამოვიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალიშვილები და ჭაბუკები აგრეთვე მზად არიან მხარი დაუჭირონ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

შეხვედრაზე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე ლაგუმინამ (იტალია), ეტაკიმ (უნგრეთი), მესიაცევმ (სსრ კავშირი), კუტიურიემ (ბელგია), დამიანიმ (იტალია), მიცკამ (ჩეხოსლოვაკია), რუბიანიმ (შვეიცარია) და სხვებმა. შეხვედრის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს ახალგაზრდობას იბრძოლოს იმის წინააღმდეგ, რომ უცხოელთა ატომური ბაზები შეიქმნას მათი ქვეყნების ტერიტორიებზე. რეზოლუციაში აგრეთვე ნათქვამია, რომ საჭიროა გაძლიერდეს დელეგაციების გაცვლა, განმტკიცდეს კონტაქტები ახალგაზრდათა ორგანიზაციებს შორის, მოეწყოს სტატისტიკისა და საინფორმაციო მასალების გაცვლა. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კონფერენც-დარბაზში, რომელიც 5 აგვისტოს ელექტროტექნიკური და ენერგეტიკული მრეწველობის ახალგაზრდა მუშათა

ᲣᲔ 01998

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

ოქტომბრიდან იწყებს გამოსვლას ყოველკვირეული ილუსტრირებული ჟურნალი ფერადი დანართით „Музыкальная жизнь“.

ჟურნალი გათვალისწინებულია პროფესიული მუსიკოსებისათვის, მხატვრული თვითმოქმედების ხელმძღვანელებისა და მონაწილეებისათვის, მუსიკის მოყვარულთათვის.

ჟურნალი აუწყებს საბჭოთა და საზღვარგარეთის ყველა ჟანრის მუსიკალური შემოქმედების საკითხებს.

ხელმოწერით თვეში ღირს 10 მან. 50 კაპ., 3 თვეში — 31 მან. 50 კაპ.

„სოიუზპეჩატი“.

ᲤᲔᲚᲔᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐᲗᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

8 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ

20.00 — გადაცემა „საფესტივალო მოსკოვი“, 20.30 — მხატვრული კინოფილმი „მეთევზის ვაჟიშვილი“.

თბილისის „დინამოს“ სტადიონი

9 აგვისტოს

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

თბილისის „დინამო“

(ძირითადი შემადგენლობა)

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო (საქართველოს სსრ არაერთგზის ჩემპიონი)

დასაწყისი 6 საათზე.

შვილები ელენე, ფატმან, ზინა, და ბაბინე ყენტი, რძალი ეკატერინე ოჯახებით იუწყებიან

ხარიტონ სიმონის-ძე ურუშაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-VIII, 9 ს. გამოსვენება 10-VIII, 6 ს. გრიბოედოვის ქ. № 25.

და ცაგუნა, რძალი ვერა; ალექსანდრე, გრიგოლ, ანდრო, კოტე, თინათინ, არჩილ ქადაგიძეები ოჯახებით იუწყებიან

ნადია ყაისარის ასულ ᲭᲣᲛᲑᲣᲠᲘᲫᲔ-ᲥᲐᲓᲐᲒᲘᲫᲘᲡ

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9-VIII, 8 ს. გამოსვენება 10-VIII, 5 ს. ფალიაშვილის ქ. № 65.

მარკეზინა ნაპირის თბილკვებავაჭრობის კოლექტივი იუწყება ბაზის დირექტორის

სოფიო დავითის ასულ ᲨᲣᲐᲥᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9-VIII, 8 ს. გამოსვენება 10-VIII, 4½ ს. კარგარეთელის ქ. № 7.

**ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲒᲔ